პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 251 (19992) შაბათი, 31 ოქტომბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

კომუნისტებო! მტკიცედ და თანამიმდევრულად, ბოლშევიკურად განახორციელეთ სკკპ XXVII ყრილობის კურსი! გარდაქმნის ახალი წარმატებებით, რეალური შედეგებით შევეგებოთ XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

გუშინ, დღეს, ხვალ

— ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

70 1917·1987

საოქტომბრო ნობათები

რამდენიმე დღე და, ჩვენს დიად სამშობლოს სამოცდაათი წელი შეუსრულდება. ამ მეტად მნიშვნელოვანი თარიღის შესახვედრად მთელ საქართველოში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

იუბილეს ხელდამშვენებული ხვდებიან

რესპუბლიკის მშრომელები. ამის თაობაზე რედაქციაში მრავალი დეპეშა და წერილი შემოდის.

გუშინ პარტიის საჩხერის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ გვაცნობეს:

— წლეულს მევენახეები მუყაითად გაისარჯნენ. მათ სახელმწიფოსთვის ყურძნის მიყიდვის გეგმა 26 ოქტომბრისათვის შეასრულეს, ნაცვლად 3800 ტონისა უკვე დამზადებულია 3851 ტონა ყურძენი, რთველი გრძელდება.

▼▼

საქართველოს დედაქალაქის „ჭიშკარი“ განთავისუფლდა სამშენებლო ხარაჩოებისაგან. აქ, თბილისის რკინიგზის სამგზავრო ვაგზალში, მთავრდება უკანასკნელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია მისი პირველი რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემასთან.

დიდებულ მარმარილოს სასახლედ წარმოგვიდგება ვაგზლის კომპლექსი. მისი მოპირკეთებისათვის გამოყენებულია მარმარილო, გრანიტი, ტუფი. ამიტომ არის, რომ გვიანი შემოდგომის ამ მოღრუბლულ დღეებში შენობა სინათლითა და ჰაერით აღსავსე გვეჩვენება.

ახალი ვაგზლის, მისი მრავალრიცხოვანი სამსახურების ფუნქციური დანიშნულებაა სულ სხვადასხვაგვარი. ბომსახურება გაუწიოს მგზავრებს, იზრუნოს სატრანზიტო მგზავრებისა და იმათი დასაკვანებელი ოთახებისათვის, ვინც ბავშვებთან ერთად მგზავრობს. იმათ, ვისაც სურს ახლოს გაიცნოს საქართველოს დედაქალაქი, შეუძლიათ რამდენიმე დღე გაატარონ ახალ სასტუმროში. მისი ფანჯრებიდან თბილისის ფართო პანორამა იშლება... 7 ნოემბერს ვაგზალი პირველ მგზავრებს შეხვდება.



სურათზე: თბილისის რკინიგზის ვაგზლის საერთო ხედი, ახალი ინტერიერი. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უფრო აქტიურად გარდავქმნათ პარტიული მუშაობა

ასეთია დროის საპარსებო მოთხოვნა

დღეს, როცა გარდაქმნის გარდამტეხ ეტაპზე ვართ, განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი საზოგადოების მთელი მოწინავე, შემოქმედებითი ძალების უაღრესად ფართო და ღრმა ინტეგრაცია. ეს შეუძლია მხოლოდ ლენინურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ნამდვილ ავანგარდს.

ჩვენმა პარტიამ თავი მოუყარა მძლავრ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ და ინტელექტუალურ პოტენციალს. 19 მილიონზე მეტი კომუნისტი გაერთიანებულია 442 ათას პირველადს, 520 ათას საამქრო პარტიულ ორგანიზაციასა და 730 ათას პარტიულ ჯგუფში. ისინი მოქმედებენ პრაქტიკულად თითოეულ კოლექტივში, თავიანთი გავლენით მოიცავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს.

„ხელი მოკიდა რა რევოლუციურ გარდაქმნას, პარტიამ საკუთარი თავით დაიწყო“, — თქვა ლენინგრადელი კომუნისტების წინაშე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. ამასთან, აღნიშნა მან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მთავარი: პარტიის ხელმძღვანელი როლი მოიპოვება, მკვიდრდება თითოეული პარტიული კომიტეტის საქმიანობით, თითოეული კომუნისტის სიტყვითა და საქმით.

ცხოვრება მოწმობს, თუ რა ხერიოზული ცვლილებები ხდება უკანასკნელ ხანს ბევრი პარტორგანიზაციის მუშაობაში. მათი მოქმედება უფრო ენერგიული, შემტევი, მიზანდასახული გახდა, განმტკიცდა კავშირი ადამიანებთან. პარტიულ ცხოვრებაში სულ უფრო მეტად მკვიდრდება დემოკრატიზმი, საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, იქმნება გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტაში კომუნისტთა დაინტერესებული მონაწილეობის ატმოსფერო. პარტიამ უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღა ნეგატიური პროცესებისა და მოვლენების წინააღმდეგ, გაბედულად იცილებს თავიდან იმათ, ვინც ჩირქი მოსცხო პარტიელის პატიოსან და სპეტაკ სახელს, უხეშად დაარღვია სოციალისტური მორალის ნორმები.

საყოველთაო ყურადღების ღირსია ბევრი რამ საინტერესო, რაც შეიმჩნევა, მაგალითად, ლენინგრადის საოლქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. აქ დაიწყო მთელი რიგი სიახლენი ეკონომიკაშიც და სოციალურ სფეროშიც. ლენინგრადის უკვე ბევრი კოლექტივი მუშაობს სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. ჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი. ბევრი რამ კეთდება საბინაო და სასურსათო პრობლემების გადაჭრისათვის, რომლებიც ეხება უშუალოდ თითოეული ადამიანის ინტერესებს, მსუბუქი მრეწველობის მოდერნიზაციისათვის. ერთი სიტყვით, მშრომელთა, შრომითი კოლექტივების ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო საკითხები მთავარი ხდება ლენინგრადელ კომუნისტთა მუშაობაში.

მაგრამ იმასაც უნდა ვხედავდეთ, რომ ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ იმოვა თავისი ადგილი ახალი ამოცანების გადაწყვეტაში. ზოგიერთი აშკარად ჩამორჩება გარდაქმნას, ვერ ითვალისწინებს ადამიანთა განწყობილებას, მათი ნაწილი კი უბრალოდ აღლაში აღმოჩნდა, თუმცა ავანგარდში კი უნდა ყოფილიყო. განა შეიძლება შევურიგდეთ ასეთ ვითარებას? რა თქმა უნდა, არა.

მაგალითად, „პრავდა“ იღებს წერილებს ბრიანსკის ოლქიდან. ისინი შეიცავენ სერიოზულ სიგნალებს იმ სხვისი მოიმედეობის პოზიციის შესახებ, რომელიც ბევრმა აქაურმა პარტორგანიზაციამ დაიკავა. განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების მდგომარეობა, რომელიც მეტად ხელმოშვებულია. ოლქში სახამებელიც კი შეაქვთ, თუმცა ბრიანსკის ოლქი ყველასათვის ცნობილია როგორც მეკარტოფილეობის მხარე. და ეს ადგილობრივი კომუნისტებისადმი, სკკპ საოლქო კომიტეტისადმი საფუძვლიან საყვედურად გაისმის.

დიდი ხანია და სამართლიანადაც ამბობენ, რომ დროა პარტიულმა მუშაკებმა თავი გაანებონ სამეურნეო მუშაკთა მაგივრობის გაწევას. ასეთი მითითება განსაკუთრებულ აქტიურობას იძენს ახლა, როცა ინერგება მეურნეობის მართვის მექანიზმი, რომელსაც საფუძვლად უდევს ეკონომიკური პრინციპები. ახალ პირობებში ადმინისტრაციულმა ზეგავლენამ დრო მოჭამა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარტიული ორგანოები განთავისუფლდნენ ეკონომიკური საკითხებისაგან. ამოცანა ის არის, რომ გარდაქმნათ პარტიული მუშაობის მეთოდები ეკონომიკის სფეროში. პარტიულ კომიტეტებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა მოკკითხონ მკაცრად კომუნისტ-ხელმძღვანელებს სამეურნეო საქმიანობის რეალური გარდაქმნისათვის, ახლებურად მუშაობისათვის, საბოლოო შედეგებისათვის. ეს კი აუცილებლად გულისხმობს ახალ ეკონომიკურ აზროვნებას.

ყოველი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შეფასებაში მთავარი კრიტერიუმია გარდაქმნისადმი დამოკიდებულება, კონკრეტული წვლილი მისი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამავე დროს მხედველობაში მარტო ეკონომიკური მაჩვენებლები როდი უნდა ვიქონიოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ როგორ დამოკიდებულებაშია მათი დინამიკა მშრომელთა კეთილდღეობის, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პროცესთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარტორგანიზაციათა მოწოდებაა ნამდვილად დღენიადაგ თვალთახედვის არეში ჰყავდეთ ადამიანი, თვალყურს ადევნებდნენ გარდაქმნის სოციალურ შედეგებს, მის გზაზე ყოველ ნაბიჯს ხედავდნენ და აფასებდნენ ადამიანის საწყაოთი.

კომუნისტებმა პირველებმა უნდა გვიჩვენონ ახლებურად მუშაობის ხელოვნების დაუფლების მაგალითი. ეს კი ნიშნავს ყოველნაირად ძლევდნენ ინერციის ძალას, რომლის წინააღმდეგობას ვგრძნობთ საკუთარ თავშიც. განსაკუთრებით ძნელი და რთულია გარდაქმნის ახლანდელი პერიოდი, რომელსაც მის კრიტიკულ ეტაპს უწოდებენ. ჯერ ხომ მიმდინარეობს ძველი მექანიზმის, ძველი ადმინისტრაციული ბერკეტების დემონტაჟი, ახალი ეკონომიკური სტიმულები კი ახლა იკრებენ ძალას. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საბოლოოდ ამოვძირკვოთ ბიუროკრატიზმი, რომელიც დღეს გარდაქმნის უბოროტესი და ყველაზე საშიში მტერია.

გამოდიოდეს გვასწავლის: ახლებურად რევოლუციური მოქმედება, რევოლუციური მუშაობა წარმოუდგენელია, თუ არ გამოვიჩენთ ვაჟკაცობასა და თავდადებას ყოველივე იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ხელს უშლის წინსვლას. აი, რატომ დგას ასე მწვავედ კომუნისტთა, ავანგარდული როლის თითოეული პირველადი პარტორგანიზაციის ყველა პარტიული კომიტეტის, განსაკუთრებით რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების შებრძოლებისა და საქალაქო კომიტეტების ბრძოლის. გარდაქმნისათვის ყოველდღიური მუშაობის ცენტრი მათ უნდა გადაიტანონ შრომითს კოლექტივებში, ეყრდნობოდნენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. სწორედ აქ, სადაც სიცოცხლე ჩქეფს, და და არა კაბინეტების სიწყნარეში უზრუნველყოფილია დღეს ყველა დასახული ამოცანის გადაწყვეტა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დგას ახლა იმ ფართოდ გაშლილი დემოკრატიული პროცესების სათავეებთან, რომლებიც თანამიმდევრულად იკრებენ ძალას, მოიცავენ საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელ ერთობლიობას. და, რა თქმა უნდა, უნინარეს ყოვლისა საჭიროა განვავითაროთ ისინი თვით პარტიის ცხოველმოქმედებაში. აბსოლუტურად შეუწყნარებელია, რომ პარტორგანიზაციები ჩამორჩნენ აქ, ისევე როგორც ყველა სხვა საქმეში.

უკანასკნელ ხანს ხერიოზული ძვრები მოხდა საკადრო მუშაობაში. მაგრამ აქაც არის პრობლემები. მაგალითად, დღემდე თავს იჩენს კომყოყოჩობა, რაც საგრძნობლად უშლის ხელს გარდაქმნის საქმეს. საკითხი ასეა დასმული: სათოფეზე არ უნდა მივაკაროთ პარტიულ მუშაობას თვითკმაყოფილი, ყოყოჩა, ნაკლებად კულტურული ადამიანები. გარდაქმნას, განვითარებულ სოციალიზმს სჭირდება ნიჭიერი, მაღალზნეობრივი, რევოლუციური განსჯების იდეით გამსჭვალული კადრები.

დღეს პარტორგანიზაციებმა ყველა რგოლსა და ეშელონში ყველა დონეზე უნდა მოუმატონ მუშაობას. ამას ხელს შეუწყობს გარდაქმნის მიმდინარეობის შესახებ ბიუროებისა და კომიტეტების ანგარიშები პლენუმებსა და კრებებზე, რომლებიც იქნება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის მზადებაში, კომუნისტთა ვალია კონფერენციაზე მოიტანონ პარტიული მუშაობის ახალი გამოცდილება, გარდაქმნისათვის მუშაობის გამოცდილება.

ოქტომბრის პარტიამ იკისრა სრული ისტორიული პასუხისმგებლობა მისი საქმის განმრძობი რევოლუციური გარდაქმნების შედეგისათვის დღეს, ისევე როგორც 70 წლის წინათ, დრო პარტორგანიზაციებისგან მოითხოვს ძლიერ პოლიტიკურ ნებას, რკინისებურ დისციპლინას, ინიციატივიან, შემოქმედებითს, გაბედულ პრაქტიკულ მოქმედებას.

დიახ, ყოველივე ეს ადვილი როდია. მაგრამ ჩვენ არც ვამყარებთ იმედს ადვილ გამარჯვებებზე. ჩვენს პარტიას სწორედ იმიტომ ეწოდება რევოლუციური, რომ მას არ აშინებს სიძნელენი, უკან არ იხევს მათ წინაშე. პარტია ზუსტად გაჰყვება დასახულ კურსს, წინ წასწევს გარდაქმნას, დაამსხვრევს მისი დაშფრუვების შეკანონებს, გულმოდგინედ სრულყოფს საკუთარ მუშაობას დროის ამოცანების შესაბამისად.

ПРАВДА 29 ოქტომბრის მოწოდებიდან.

უმთავრესი საღეღისო საზრუნავი

სტიქია შკან არ იხევს, ავდარს გარჯით უნდა ვაჯობოთ!

„კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტების რეპორტაჟი

როგორც სინოპტიკოსები გვატყობინებენ, ამინდის გამოკეთებას კარგი პირი არ უჩანს. დასავლეთ საქართველოში კარგა ხანს ქარი მძვინვარებდა. დიდად დაზარალდნენ სასოფლო რაიონები, ზოგან ქარმა ფერმებს სახურავი გადახადა, ზოგან კი უამრავი თივა და ჩალა წაიღო, სიმინდის ყანები დაწვინა, მექანიზმებით მისი აღება უკვე შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომაც, რომ ქარის შემდეგ გაწვიმდა და მანქანები ტალახში ვეღარ დადიან. აღმოსავლეთ საქართველოს მთის სოფლებში რამდენიმე დღეა თოვს, ბარში კი თოვლუყაპი და წვიმაა.

ასეთ ამინდში საზოგადოებრივ მეურნეობებს უჭირთ მოსავლის აღება, მაგრამ მთელი წლის გარჯით მოწეულ მოსავლის მინდვრად და ბაღებში, ამა, ვინ მიატოვებს! დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ მეურნეობებში სიმინდი მოუტეხავია დიდ ფართობზე. ეს სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული. ობიექტური ის არის, რომ სიმინდის თესვა უამინდობის გამო გაზაფხულზე დაგვიანებით დაიწყო და, ცხადია, ნაგვიანევი ნათესებით თითქმის 20 დღით გვიან შემოვიდა. სუბიექტურია ის, რომ ხელსაყრელი ამინდების დროს მოსავლის აღება ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ზ. ცქიტიშვილი — საქსახაგრომრეწვის მიწათმოქმედების მართვის, სამეცნიერო სისტემებისა და ინტენსიფიკაციის სამმართველოს უფროსი:

ლანჩხუთში ავდრის გამო სიმინდის მექანიზებულად აღება შეუძლებელია, ინტენსიურად ნათეს ყანებსაც კი ხელით იღებენ. ცხაკაიას რაიონში ჰექტარზე 40 ცენტნერი მარცვალი მოსდით, აბაშაში — 50 ცენტნერი. 4.000-დან მხოლოდ 1.600 ჰექტარია აღებული. მშრომელები ყველაფერს ღონობენ, რომ ასეთი უხვი მოსავალი უცვლელად დაბინაონ. აქ ავდარს არ ეპუებიან, ხელით იღებენ სიმინდს. ყოველდღიურად ასობით მშრომელი მუშაობს სიმინდის ყანებში.

ხობის რაიონშიც ორგანიზებული შრომა დაუპირისპირეს ავდრს. 3.580 ჰექტარიდან აღებულია 2.200 ჰექტარი. ჰექტარზე 40 ცენტნერ მარცვალს იღებენ და მინდვრად როგორ დატოვებენ?!

ორჯონიკიძის რაიონში 1.550 ჰექტარიდან მხოლოდ 731 ჰექტარზეა აღებული სიმინდი. საინტერესოა აქამდე რას უცდიდნენ, ამ მთიან რაიონში კომბაინებით მოსავალს საერთოდ ხომ არ იღებენ? აქამდე რატომ მიიყვანეს საქმე, დარში აღება არ ჯობდა?

წალენჯიხელებმა წელს კარგად მოუარეს ნათესებს, უხვი მოსავალიც იყო მოსალრდნელი, მაგრამ აღება გვიან დაიწყეს და ახლა, ცხადია, დანაკარგები იმატებს. 29 ცენტნერის ნაცვლად 23 ცენტნერ მოსავალს იღებენ ჰექტარზე, რაც წალენჯიხის რაიონის პირობებისათვის შეუფერებელია. აღების ტემპი უნდა დაიჩქარონ წულუკიძელებმა. აქ 1.600 ჰექტარიდან გუშინდლამდე ხხოლოდ 702 ჰექტარი ჰქონდათ აღებული. მოსავლის აღება დარში დაიწყეს და ჰექტარზე 24 ცენტნერს იღებენ, მერე ტემპი შეანელეს, ავდრამაც მოუსწროთ და მოსავლიანობა 4 ცენტნერით შემცირდა. ასე იცის ზოზინმა.

საერთოდ, დასავლეთ საქართველოში ათასობით ჰექტარი სიმინდია ასაღები, ეს საგანგებო ღონისძიებებს მოითხოვს. ქუდზე კაცი უნდა გავიდეს სიმინდის სატეხად.

უფრო სავალალო მდგომარეობაში არიან აღმოსავლეთ საქართველოს მემინდვრეები. სიმინდის მოსავლის აღების გაჭიანურებამ საშემოდგომო თესვის ვადებიც დაარღვია. ხომ ცნობილია, რომ ნასიმინდარზე დათესილი საშემოდგომ კულტურები უხვ მოსავალს იძლევა. ეს კარგად იციან კახეთის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, მაგრამ დროზე ვერ აიღეს სიმინდის მოსავალი და საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვაც დაგვიანდა. **სიღნაღის** რაიონში 1.000 ჰექტარიდან გვაკვეფნია და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად 200 ჰექტარი სიმინდის ნათესი დარჩაო. აქედან 152 ჰექტარია აღებული. 29 ოქტომბრისათვის სიღნაღელებს 16.620 ჰექტარიდან თავთავიანები 3.000 ჰექტარზე დასათესი ჰქონდათ. **გურჯაანელებმა** 2.400 ჰექტარი აქვთ დასათესი, ეს იმიტომ, რომ სიმინდის მოსავლის აღება გაჭიანურდა. **ლაგოდეხელებს** 6.460 ჰექტარიდან დასათესი აქვთ 3.500 ჰექტარი, **მარნეულელებს** — 1.200 ჰექტარი.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის ვადები გავიდა. ავდრის გამო მანქანების მუშაობა, მართალია, ჭირს, მაგრამ მექანიზატორებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელების ხელშეწყობით, ყველაფერი უნდა იღონონ, ყოველი ხელსაყრელი დღე თესვისათვის უნდა გამოიყენონ, რომ მოკლე დროში დამთავრდეს ეს სამუშაო.

გ. წილოსანი — საქსახაგრომრეწვის მევენახეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე:

მევენახეებსაც არ ულხინთ. ავდარმა რთველი შეაფერხა დასავლეთ საქართველოში. **ზესტაფონელები** წელს 12.000 ტონა ყურძენს მოელიან (გეგმა კი 24.000 ტონა იყო), გუშინდლამდე მხოლოდ 5.244 ტონა ჰქონდათ მოკრეფილი. უარესი ბუნებრივი პირობები აქვთ მეზობელ **საჩხერელ** მევენახეებს, მაგრამ აქაურებმა იყოჩაღეს და გეგმა გადამეტებით შეასრულეს — ნაცვლად 3.800 ტონისა, 4.221 ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს. კრეფა ყოვნდება **ვანის** რაიონში, მოსალოდნელი 2.500 ტონიდან 1.930 ტონა ყურძენია მოკრეფილი. საერთოდ, დასავლეთ საქართველოში რთველი გვიან დაიწყეს და ავდარმა შუა გზაზე მოუსწროთ. დასაღლილი მევენახეები წელს, თავიანთი ვარაუდით, 54.000 ტონა ყურძნის დამზადებას ფიქრობდნენ. როგორც აღვნიშნეთ, აქ არ ჩქარობენ, ჯერჯერობით 33.063 ტონა ყურძენი მოკრიფეს. თუ რთველი თავის დროზე არ დამთავრდა, დანაკარგები იმატებს. მევენახეობის რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა ორგანიზებული შრომით უნდა დააღწიონ თავი ჩამორჩენას.

მეგობარნეებსაც უწიათ ავდარმა. **გარდანბელებს** საზოგადოებრივ სექტორში 79.850 ტონიდან ჯერჯერობით დამზადებული აქვს 50.609 ტონა ბოსტნეული, **მცხეთელებს** 18.000-დან — 8.400 ტონა. ამ რაიონებში, იმედია, ყველაფერს იღონებენ, რომ მინდვრად არ დარჩეთ ბოსტნეული. ასევე ტემპის დაჩქარება მართებთ სამტრედიის, ახალციხის და წალკის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მებოსტნეებს.

ნ. სურამელი — საქსახაგრომრეწვის მეხილეობის სამმართველოს უფროსი:

თოვლსა და თოვლუყაპში სავალალო სანახავია ხეხილის ბაღები. თუ დროზე არ მოიკრიფა თესლოვანი ხილი, ღრმის ყინვები დაზრობს და მოსავალი გადასაყრელი გახდება. 343.560 ტონიდან ჯერჯერობით 200.000 ტონა თესლოვანი ხილია დამზადებული, ანუ შარშანდელთან შედარებით 7.000 ტონით ნაკლები. ეს იმის შედეგია, რომ თოვლმა დაფარა ბაღების საკმაო ფართობი. ამ საქმეში წინ მიდიან საზოგადოებრივი მეურნეობები, მაგრამ საკარმიდამოდან ხილის დამზადება ფერხდება, შარშანდელთან შედარებით 16.000 ტონით ნაკლებია დამზადებული.

ამაში უფრო ცეკავშირის დამზადების ორგანოები სცოდავენ. ავდარი უკან არ იხევს, თანდათან მატულობს თოვლი და წვიმა. მოსავლის აღება და დაბინავება საფრთხეშია. ახლა უნდა გვიჩვენონ სასოფლო რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა ორგანიზებული ნაბიჯი და უნარი, მშრომელები აქტიურად უნდა დარაზმონ სტიქიური შედეგების სალიკვიდაციოდ, ყველაფერი იღონონ რომ მინდვრად და ბაღ-ვენახებში არ დარჩეს არც ერთი კილოგრამი გარჯით მოწეული მოსავალი.

სოფლის მშრომელებო, პირველი სიტყვა მაინც თქვენ გეკუთვნით! ერთსულოვნად გაისარჯეთ თქვენივე ნაშრომის გადასარჩენად, სახალხო დოვლათის უკლებლივ დასაბინაებლად!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გადამწყვეტი მოქმედების დრო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ანგარიში სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად ორგანიზატორულ და პოლიტიკური მუშაობის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი ხელმძღვანელობის სტილის გარდაქმნის შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიულმა კომიტეტმა გარკვეულ ძვრებს მიაღწია ამ მიმართულებით. შრომითს კოლექტივებში შეჰფუშავებულია საწარმოო და სოციალური სფეროების განვითარების დაჩქარების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, რაც ხელს უწყობს ტერიტორიული და დარგობრივი პრობლემების გადაჭრაში უწყვეტობის დაძლევას, შრომითი კოლექტივების საშუალებებისა და პარტორგანიზაციების მეცადინეობის კონკრეტიზაციას გარდაქმნის ძირითად მიმართულებებში.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების 9 თვის გეგმა შესრულდა 101,5 პროცენტით. დავალების გადაჭარბებით გამოშვებულია 7 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია, წარმოების მოცულობის მატება უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების ზრდის მეშვეობით. დავალება შესრულა ქალაქის სამივე საწარმომ, რომლებიც პროდუქციის საბელმწიფო მიღების პირობებში მუშაობენ. შესრულდა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმები. წარმოებს მუშაობა მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, რადენადმე გაუმჯობესდა სამართალდარღვევების, კერძოდ, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პროფილაქტიკის ორგანიზაცია.

ამავე დროს დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგა საწარმოო და სოციალურ სფეროებში თვისებრივი ცვლილებების შესაძლებლობათა რეალიზაციის გზაზე. ნელა ძლევენ სერიოზულ ჩამორჩენას ეკონომიკაში, რომელიც დაშვებული იყო მეთერთმეტე ხუთწლეულში და 1986 წელს. სამრეწველო საწარმოები ცხისტემატურად ვერ ასრულებენ პროდუქციის რეალიზაციის გეგმას მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით. კვლავ რთულია მათი ფინანსური მდგომარეობა. იანვარ-აგვისტოში ზეგეგმითმა ზარალმა ლამის ერთიორად გადააჭარბა დაგეგმილ მოგებას.

არ არის კაპიტალურ მშენებლობაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მკაფიო პროგრამა, რის გამოც ჭიანურდება შარშან საბინაო მშენებლობაში ორსებული წამატებებისა და თვალის. ახვევის ფაქტების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნითა რეალიზაცია. ამის შედეგად უაღრესად ნელა წყდება მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემები. მაგალითად, ამჟამად ქალაქში აღრიცხვაზეა 13 ათასზე მეტი ოჯახი.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი საკმარისად არ იყენებს თავის უფლებამოსილებას ქალაქის კომპლექსური განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში. ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ დიდი საწარმოო პოტენციალის შესაძლებლობებს. ჩამორჩება საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საგზაო მშენებლობის განვითარება. ფასიანი მომსახურების გაწევის დავალებათა შესრულებას ფუშავს ქალაქის საწარმოთა და ორგანიზაციათა უმრავლესობა. არ შესრულებულა საკასო გეგმა.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა უნდა გააძლიეროს ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებისათვის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საქმიანობაში, ჯეროვანი სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის, განახორციელოს ენერგიული ღონისძიებანი უშრომელი შემოსავლის მიღების არხების გადაკეტვისათვის, არ შეანელოს ბრძოლა ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ. მან მეტად უნდა. იზრუნოს კოლექტივებში დიდნაყოფიერი შრომის საჭირო პირობების შექმნისათვის.

გასაუმჯობესებელია კადრებთან მუშაობა. აქ ნელა ინერგება დემოკრატიისა და საჯაროობის პრინციპები, რაც უარყოფთ გავლენას ახდენს უწინარეს ყოვლისა წარმოების ორგანიზატორების, სხვა ხელმძღვანელი მუშაკების აღზრდის მდგომარეობაზე. სრულად ვერ იყენებენ საანგარიშოსაარჩევნო კამპანიის დამრაზმველ როლს. ცალკეულ პარტიულ კომიტეტებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ თავიანთი ადგილი გარდაქმნაში, არასაკმარისად რაზმავენ შრომითის კოლექტივებს წარმოების ინტენსიფიკაციისათვის. ყველგან აქტიურად როდი მიმდინარეობს ბრძოლა თვითდამშვიდების, ბიუროკრატიზმის, სხვისი მოიმედეობის, ინერტულობისა და უინიციატივობის წინააღმდეგ. იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მიმართული ამისათვის, რომ ღრმად და დამაჯერებლად განმარტონ გარდაქმნის არსი და მიზნები, ჩაბმულ მშრომელები აქტიურ სოციალურ და პოლიტიკურ საქმიანობაში, განსაზღვრონ მათი როლი და ადგილი მომწიფებული პრობლემების გადაჭრაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტს უზრუნველყოს სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის საქალაქო პარტორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერება, მიაღწიოს 1987 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლეულის დავალებებისა და ვალდებულებების უფრო სრულად.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, საქალაქო აღმასკომი პირველადს პარტორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს პრაქტიკულად უნდა ეხმარებოდნენ შემუშავებულ ღონისძიებათა რეალიზაციაში, აძლიერებდნენ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას. საწარმოებსა და ორგანიზაციებს უნდა შეუქმნან ყველა პირობა იმ უფლებებისა და უფლებამოსილების ეფექტიანი გამოყენებისათვის, რომლებიც მიანიჭა მათ კანონმა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. ერთობ საჭიროა, ნათქვამია დადგენილებაში, დავრაზმოთ შრომითი კოლექტივები მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შემუშავებისათვის, რათა უთუოდ შეასრულონ საბინაო, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საგეგმო დავალებანი, მკაცრად შეაფასონ ბინებისა და სხვა სიკეთეთა განაწილებისას სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევის თითოეული ფაქტი.

პარტიის საქალაქო კომიტეტს დაევალა განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი ხელმძღვანელობის პოლიტიკური მეთოდების დამკვიდრებისათვის, შინაპარტიული დემოკრატიის გაღრმავების, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაფართოების, ინიციატივის განვითარებისათვის.

კადრებთან და რეზერვთან მუშაობაში საქალაქო კომიტეტმა უფრო სრულად უნდა გაითვალისწინოს პირველადი პარტორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრი, უფრო ფართოდ გამოიყენოს მათი შერჩევისა და განაწილების დემოკრატიული ფორმები. უფრო ეფექტიანად უნდა იყენებდეს იდეოლოგიურ მუშაობას ადამიანთა პოლიტიკური, სოციალური, შრომითი აქტიურობის გადიდებისათვის, იმისათვის, რომ მათ ჩაუნერგოს ქვეყნის, თავისი საწარმოს ბატონ-პატრონის გრძნობა.

კონკრეტული დავალებანი მიეცათ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს. გარდაქმნისადმი ხელმძღვანელობისათვის მუშაობის შესახებ არჩევითი ორგანოების ანგარიშის თაობაზე კრებებისა და პლენუმების მომზადება-მოწყობის დროს მათ მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ იმ გზების ძიებას, რომ გადაწყვიტონ დაგროვილი პრობლემები, აღმოფხვრან უძრაობის მოვლენები ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, გააქტიურონ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, გაძლიერონ მათი როლი პარტიის XXVII ყრ

მეურნეობრიობის ახალი პირობები გვიკარნახებს

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ორი დიდმნიშვნელოვანი საკითხი განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკოორდინაციო საბჭოს სხდომამ, რომელიც 28 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის თავმჯდომარეობით.

ფინანსური დისციპლინის მდგომარეობა და მისი განმტკიცების ღონისძიებანი, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის, მძიმე მრეწველობისა და სხვა დარგების საწარმოთა მომზადების დაჩქარება, პროდუქციის სახელმწიფო მიღების მიმდინარე წლის ცხრა თვის შედეგები და სახელმწიფო მიღებაზე გადასაყვან საწარმოთა წარმატებით მზადების ამოცანები — ამ საკითხებზე გამოვიდნენ ინფორმაციით სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე კ. შ. სვანიძე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე რ. შ. კაკულია და სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი დ. ლ. ქართველიშვილი. განხილვაში მონაწილეობდნენ დაინტერესებულ უწყება-სამინისტროთა, გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები.

სხდომაზე გამოვიდა ჯ. ი. პატიაშვილი.

აღინიშნა, რომ მიღებული ზომების მიუხედავად მანქანათმშენებლო კომპლექსის საწარმოებში ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ ძირეული გარდატეხისათვის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების, მოგების ზრდის, წარმოების რენტაბელობის გადიდების საკითხებში. ვერ უზრუნველყოფენ ეკონომიის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულებას. ბევრ საწარმოში მნიშვნელოვანი მოცულობის მატერიალურ ფასეულობათა და საქონლის ზენორმატიული მარაგია, დიდძალი თანხებია გადასახდელი ბანკის სესხებისა და მიმწოდებელთა ანგარიშების გასასტუმრებლად. ადგილებზე ყველგან ჯეროვნად როდი მუშაობენ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად. სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება ეკონომიკური და საფინანსო მუშაობის თანამედროვე მოთხოვნებს. სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა უმრავლესობა პრაქტიკულად ვერ ერკვევა მათს არსში.

ჯერ კიდევ ნელა ინერგება საწარმოებში მიდასამეურნეო ანგარიშიც, რომელიც სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის უცილობელი პირობაა. უნდა გააქტიურდეს მუშაობა მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გასაწევად, რაც სახსრების შემოსვლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წყაროა გახდება.

სხდომამ სამეურნეო სამსახურების პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ხელმძღვანელებს მოსთხოვა მოაწყონ საყოველთაო ეკონომიკური სწავლება მეურნეობრიობის ახალი პირობების საკითხებზე, ამასთან კონკრეტულად დაამუშაონ თვითდაფინანსების და თვითნაზღაურობის თემები, ჩაბან საყოველთაო სწავლებაში ყველა კატეგორიის მუშა-მოსამსახურენი.

სხდომაზე დაასახელეს რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები და გაერთიანებები, რომლებიც უკვე გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე და საკმაოდ კარგ შედეგებსაც მიაღწიეს. მათ შორის არიან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი „ანალიზხელსაწყო“ და „ელვა“. კერძოდ, თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ ქარხანაში, სადაც პროდუქციის სახელმწიფო მიღებაა, მუშა-მოსამსახურეთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი რვა თვის მანძილზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 31 მანეთით გაიზარდა. ასეთი ნაყოფი გამოიღო მარჯვე მეურნეობრიობამ, აგრეთვე იმ დიდმა და სერიოზულმა მოსამზადებელმა მუშაობამ, რომელიც ხელმძღვანელობამ და თვალმა შრომითმა კოლექტივმა გასწიეს.

შემთხვევითი როდი იყო, რომ საკოორდინაციო საბჭომ მიზანშეწონილად ცნო ამ მუშაობის გამოცდილება შეესწავლა „ანალიზხელსაწყოს“, „ელვასა“ და ზოგიერთი სხვა საწარმოს ბაზაზე.

სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად არის მინიჭეული ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ გააჯანსაღონ ადგილებზე ფინანსური მდგომარეობა, განამტკიცონ საგეგმო, საწარმოო და შრომის დისციპლინა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის 21 საწარმოში დაწესებულმა პროდუქციის სახმიღებამ ხელი შეუწყო წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის მნიშვნელოვან ამაღლებას, უსტანდარტო პროდუქციის მიწოდების გამო რეკლამაციების, მომხმარებელთა პრეტენზიების, ჯარიმების შემცირებას. სახმიღების პირობებში მუშაობის პირველი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იგი სასიკეთო გავლენას ახდენს კოლექტივების სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტასა და შრომის პირობების გაუმჯობესებაზე. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც არასაუწყებო კონტროლით მუშაობს ან გადადის ასეთ მუშაობაზე.

ამავე დროს თავი იჩინა სერიოზულმა ხარვეზებმა და ნაკლოვანებებმა. ზოგიერთ საწარმოში, როგორიც არის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანება, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, „აზოტის“ საწარმოო გაერთიანება და სხვები, ტექნოლოგიური მოწყობილობა ვერ უზრუნველყოფს გათვალისწინებულ მახასიათებლებს. საკონტროლო საგუშაგოები, ლაბორატორიები, გამოსაცდელი სტენდები ჯეროვნად არ არის აღჭურვილი კონტროლის საშუალებებით.

სამშენებლო ორგანიზაციებში სახმიღების მომავალ დაწესებასთან დაკავშირებით მათს ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ უმოკლეს ვადაში დაამთავრონ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის მზადყოფნის ანალიზი და წლის ბოლომდე განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა გარდაქმნან ტექნიკური კონტროლის სამსახურები საქმიანობა, გაზარდონ მორალური და მატერიალური სტიმულირების ქმედითობა, უფრო ეფექტიანად ამოქმედონ პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა.

სხდომამ სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს მოსთხოვა მეტი კონტროლი გაუწიოს ადგილებზე სახმიღების ორგანოების საქმიანობას, მიაღწიოს პრინციპულობას პროდუქციის ხარისხის შეფასებაში, შესაბამის საწარმოთა ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოს არასაუწყებო კონტროლის ახალი ორგანოების დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური, გამოცდილი, პრინციპული ადამიანებით, გამოიყენოს საბჭოთა კავშირის სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ძალები მუშაკთა მომზადებისა და სწავლების ორგანიზაციისათვის, ხოლო პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა პერიოდულად მოისმინონ სახმიღების პირობებში საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის შედეგები.

საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, ა. ნ. გლურჯიძე, ბ. ვ. ნიკოლაკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, გ. გ. გუშმარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე.

(საქინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ლამის მთელი საკოლმეურნეო ბაზრის მაგივრობას გაუწევს დიასახლისებს კოოპერატორთა ახალი

საფირმო მაღაზია — „საგურამო“

იგი გაიხსნა თბილისში, დიღმის მასივის მეგობრობის პროსპექტზე. აქ ექვს ორიგინალურად გაფორმებულ განყოფილებაში წარმოდგენილია სხვადასხვა სასურსათო საქონელი: ხორცი, ძეხვეული და თევზეული, ბოსტნეული, ხილი და ისიც კი, რასაც ვერ ნახავ ბაზარში — ნამცხვარი და ტორტი.

მაღაზიის ძირითადი მიმწოდებელია ცეკავშირის საგურამოს საბჭოთა მეურნეობა. მაღაზიასთან მუშაობს თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი საკონდიტრო საამქრო, სადაც, სხვათა შორის, ქალაქელებს შეუძლიათ შეუკვეთონ ესა თუ ის ნამცხვარი.

„საგურამო“ თბილისში მოქმედი სამომხმარებლო კოოპერაციის რიგით მეორე საფირმო მაღაზიაა, პირველმა — „თელეთმა“ უკვე მოიპოვა პოპულარობა. ვფიქრობთ, რომ ეს ახალი ობიექტიც გაამართლებს თავის დანიშნულებას... ასეთი სავაჭრო საწარმოები მყიდველს იზიდავს არა მარტო პროდუქციის ფართო ასორტიმენტით, არამედ ფასების მოქნილობითაც, რომლებიც ჩვეულებრივ, 15-20 პროცენტით ნაკლებია ბაზრისაზე.

▼▼

დღესასწაულის გამო

თურქეთის გენერალურმა კონსულმა სამიმ შაჰინმა ბათუმში დარაზობა გამართა თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების 64 წლისთავთან დაკავშირებით.

დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები.

▼▼

ეს ინფორმაცია ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, თუ რა უძვირფასესია ჩვენი პლანეტის . ადამიანებისათვის მშვიდობა და მოწმენდილი ცა. ცხადია, ასევეა იგი ჩვენი რესპუბლიკის ყოველი თაობის ადამიანებისათვის. ნახეთ, მშვიდობის მარში მოაწყვეს და

თბილისში ფეხით ჩამოსვლა

გადაწყვიტეს ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების თანამშრომლებმა — ომის ვეტერანმა ბაბუცა მაქაცარიამ და მისმა მეგობარმა — გალის ჩაის ფაბრიკის ლაბორანტმა, შრომის ვეტერანმა ზოია ლაკერბაიამ. სამოცს გადაცილებულ ბებუცასა და ზოიას ზუგდიდში ბევრი გამეცილებელი ჰყავდათ. მათთან წამოიღეს კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის წიგნი. თბილისამდე გზად გაგლისას ყოველ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში ისინი მივლენ კომკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტში, სადაც ახალგაზრდობა კომკავშირულ წიგნში შეიტანს სათანადო ჩანაწერებს მშვიდობის შესახებ. ასეთი მოგზაურობა მათთვის უკვე მეოთხეა. პირველად 1985 წელს, დიდი სამამულო ომის დამთავრების 40 წლისთავზე, მშვიდობის სურვილით გაუდგნენ ფეხით გზას ზუგდიდიდან ქერჩისაკენ. 6 ნოემბერს ისინი უკვე თბილისში იქნებიან, ხოლო 7 ნოემბერს — საოქტომბრო ტრიბუნაზე.

ᲙᲝᲠᲘ

ტყუილად ნუ ეძარჯებით

დეკეშებში, რომლებიც ივანოვოდან და ჩვენი ქვეყნის კიდევ რამდენიმე ქალაქიდან მივიღეთ, გვაცყობინებენ, რომ მოსახლეობის ნაწილი უამრავ საქონელს ყიდულობს. ამას იმით ხსნიან, თითქოს ყველაფერი მკვეთრად ძვირდებოდეს და ვითომ ვიღაცას უკვე ენახოს ახალი ფასდებანი და ტარიფები. „პრავდის“ კორესპონდენტმა ს. ბოგატკომ განმარტებისთვის მიმართა სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. კომინს.

— პატივცემულო ანატოლი, რამდენად სწორია ეს ხმები?

— სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ: მოსახლეობაში გავარდნილი ხმა, მალე სასურსათო და ზოგიერთი არასასურსათო საქონელიც გაძვირდებოო, ყოველად უსაფუძვლოა.

— მაგრამ ფასწარმოქმნის პრობლემებზე ხომ დიდი ლაპარაკია.

— დიახ, მაგრამ ლაპარაკია სულ სხვა რამეზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ამჟამად სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტი მართლაც მუშაობს საჯაზო მეურნეობაში ფასებისა და ტარიფების მთელი სისტემის სრულყოფის წინადადებათა მომზადებაზე; ეს იხება საცალო ფასებსაც. ჩვენს ქვეყანაში ფასწარმოქმნის ძირფესვიანად გარდაქმნის საჭიროებაზე ლაპარაკი იყო პლენუმზე, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებში. მაგრამ ეს საკითხები იმდენად რთულია, რომ დიდ მოსამზადებელ მუშაობას და დროს მოითხოვს. ეს შეეხება საცალო ფასების სრულყოფის პრობლემებსაც. როგორც პლენუმზე და მერშანსკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაში ითქვა, საცალო ფასების სრულყოფა საჯაროობის პირობებში მოხდება. სანამ ამ საკითხზე რაიმე გადაწყვეტილებებს მივიღებდეთ, მათ საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოვიანთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საცალო ფასები მოსახლეობის მატერიალური ინტერესების საზიანოდ არ შეიცვლება. ამ ცვლილებებმა არათუ არ უნდა გააუარესოს მშრომელთა ცხოვრების დონე, პირიქით, ხელიც კი უნდა შეუწყოს გარკვეული კატეგორიის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, სოციალური სამართლიანობის უფრო სრულ განხორციელებას.

— რა გარანტიები გვაქვს იმისა, რომ რაიმე საგანგებო გარემოებანი არ გვაიძულებს სასწრაფოდ გავაძვიროთ სასურსათო პროდუქტები?

— ყველაზე საიმედო გარანტია ის არის, რომ წელს ჩვენმა სოფლის მეურნეობამ უკეთ იმუშავა, ვიდრე შარშან, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქციის მხრივ. დიდძალი მარცვლეული მოვიწიეთ. ესეც კია, ცენტრალურ არამაძიწანიადაგიან ოლქებში, უამინდობის გამო, ამჯერად ნაკლები კარტოფილი და ბოსტნეული მიიღეს. მაგრამ საერთო ვითარება ჩვენს ქვეყანაში უკეთესია, და არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისა, რომ მომარაგების გაუარესებაზე დასკვნები გამოვიტანოთ.

ცხადია, ფასწარმოქმნის პრობლემა კვლავინდებურად დგას, მაგრამ ეს ხანგრძლივი — არაერთი წლის სამუშაოა; თანაც სახელმწიფო კომიტეტი მსჯელობს ღონისძიებებზე, რომლებიც შეეხება ფასების როგორც მომატებას, ისე დაკლებასაც. მაგრამ ყველა ამ საკითხს საქვეყნოდ განვიხილავთ და არავის არავითარი „სიურპრიზების“ შიში არ უნდა ჰქონდეს.

— ეს ხმები საიდანღა გავარდა?

— ჩვენი საზოგადოება გარდაქმნის პირველ ეტაპზეა. საჯაროობისა და დემოკრატიის პრინციპები ჯერ მხოლოდ მკვიდრდება. ხმები?.. ვინ არ იცის, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო ხელს აძლევს ჭორების გავრცელება. ესენი გახლავან ჩვენი იდეური მოშურნენი, ზოგჯერ კი ვაჭრობის ცალკეული მუშაკებიც, რომლებიც ცდევნის შესრულების მიზნით „მეკვრმეტყველებენ“.

— მერე, ამით ვინ ზარალობს?

— უწინარესად ის მოქალაქენი, რომლებიც გაძვირების შესახებ ჭორებს აჰყოლიან და უხვად იმარაგებენ სურსათ-სანოვაგესა და სხვა საქონელს. ეს ხალხი, ნებსით თუ უნებლიეთ, ზარალს აყენებენ საკუთარი ოჯახის ბიუჯეტს, რადგან სასურსათო საქონელი, მოგეხსენებათ, დიდხანს არ ინახება. ისევ დაგვრჩენია, ვურჩიოთ, რომ გონივრულად ხარჯონ შრომით მოპოვებული ფული.

„პრავდა“. 1987 წ. 30.X.

„კომუნისტის“ გამოსვლას პასუხი

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო

როცა სასჯელი ლმობიერია

მიმდინარე წლის 31 ივლისს მშრომელთა წერილების სპეციალურ გვერდში დაბეჭდილ კრიტიკულ შენიშვნაში **„ამბავი ერთი მაცივრის შეკეთებისა“** ლაპარაკი იყო რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „საქყოფრემტექნიკის“ მუშაკთა დაუდევრობაზე, რომელიც მათ გამოიჩინეს მოქალაქე ბ. ვალიევის მიმართ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილე **ა. აბაშიძე** გვატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

გაერთიანება „საქყოფრემტექნიკის“ საგანგებო საწარმოო თათბირზე მკაცრად იმსჯელეს წერილში მოხსენიებული დარღვევების თაობაზე. როგორც გამოირკვა, ელექტრომექანიკოს **ვ. ნუჟდინს** მაცივარი დაგვიანებით და უხარისხოდ, დარღვევებით შეუკეთებია. **ხელოსანმა მომხმარებელს ზედმეტად გადაახდევინა 17 მანეთი და 40 კაპიკი.**

გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებთა, ვ. ნუჟდინი განთავისუფლებულია სამუშაოდან. დასახულია ღონისძიებანი გაერთიანებაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, პასუხისმგებლობისა და კონტროლის გაძლიერებისათვის.

„თბილისხილბოსტნეულ-ვაჭრობა“

მდგომარეობა გამოსწორდა

გაზეთ „კომუნისტის“ 5 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი წერილი **„მაღაზიები სანახევროდ ცარიელია...“** შეეხებოდა დედაქალაქის მშრომელთა ხილბოსტნეულით მომარაგების ნაკლოვანებებს.

გაზეთის კრიტიკულ გამოსვლაზე „თბილისხილბოსტნეულ-ვაჭრობის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ჟ. თუშიშვილი** გვატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

გაერთიანება „საქყოფრემტექნიკის“ საგანგებო საწარმოო თათბირზე მკაცრად იმსჯელეს წერილში მოხსენიებული დარღვევების თაობაზე. როგორც გამოირკვა, ელექტრომექანიკოს **ვ. ნუჟდინს** მაცივარი დაგვიანებით და უხარისხოდ, დარღვევებით შეუკეთებია. **ხელოსანმა მომხმარებელს ზედმეტად გადაახდევინა 17 მანეთი და 40 კაპიკი.**

გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებთა, ვ. ნუჟდინი განთავისუფლებულია სამუშაოდან. დასახულია ღონისძიებანი გაერთიანებაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, პასუხისმგებლობისა და კონტროლის გაძლიერებისათვის.

„თბილისხილბოსტნეულ-ვაჭრობა“

ᲥᲠᲘᲢᲘᲙᲐ

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხეს:

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო

როცა სასჯელი ლმობიერია

მიმდინარე წლის 31 ივლისს მშრომელთა წერილების სპეციალურ გვერდში დაბეჭდილ კრიტიკულ შენიშვნაში **„ამბავი ერთი მაცივრის შეკეთებისა“**. ლაპარაკი იყო რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „საქყოფრემტექნიკის“ მუშაკთა დაუდევრობაზე, რომელიც მათ გამოიჩინეს მოქალაქე ბ. ვალიევის მიმართ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილე **ა. აბაშიძე** გვატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

გაერთიანება „საქყოფრემტექნიკის“ საგანგებო საწარმოო თათბირზე მკაცრად იმსჯელეს წერილში მოხსენიებული დარღვევების თაობაზე. როგორც გამოირკვა, ელექტრომექანიკოს **ვ. ნუჟდინს** მაცივარი დაგვიანებით და უხარისხოდ, დარღვევებით შეუკეთებია. **ხელოსანმა მომხმარებელს ზედმეტად გადაახდევინა 17 მანეთი და 40 კაპიკი.**

გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებთა, ვ. ნუჟდინი განთავისუფლებულია სამუშაოდან. დასახულია ღონისძიებანი გაერთიანებაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, პასუხისმგებლობისა და კონტროლის გაძლიერებისათვის.

„თბილისხილბოსტნეულ-ვაჭრობა“

მდგომარეობა გამოსწორდა

გაზეთ „კომუნისტის“ 5 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი წერილი **„მაღაზიები სანახევროდ ცარიელია...“** შეეხებოდა დედაქალაქის მშრომელთა ხილბოსტნეულით მომარაგების ნაკლოვანებებს. გაზეთის კრიტიკულ გამოსვლაზე „თბილისხილბოსტნეულ-ვაჭრობის“ დირექტორის **ჟ. თუშიშვილი** გვატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

გაერთიანება „საქყოფრემტექნიკის“ საგანგებო საწარმოო თათბირზე მკაცრად იმსჯელეს წერილში მოხსენიებული დარღვევების თაობაზე. როგორც გამოირკვა, ელექტრომექანიკოს **ვ. ნუჟდინს** მაცივარი დაგვიანებით და უხარისხოდ, დარღვევებით შეუკეთებია. **ხელოსანმა მომხმარებელს ზედმეტად გადაახდევინა 17 მანეთი და 40 კაპიკი.**

გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებთა, ვ. ნუჟდინი განთავისუფლებულია სამუშაოდან. დასახულია ღონისძიებანი გაერთიანებაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, პასუხისმგებლობისა და კონტროლის გაძლიერებისათვის.

„თბილისხილბოსტნეულ-ვაჭრობა“

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე **ამბ. გრიგოლ დავითის ძე ლორთქიფანიძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ᲣᲠᲘᲒᲝ მაჩვენებლებით როდი ხვდება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს „ელვას“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. აქ გადაჭარბებით შესრულდა როგორც ძირითადი პროდუქციის, ისე სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების მესამე კვარტალის გეგმები. საგრძნობლად გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი, დაიხვეწა გამოთვლითი მანქანების დამზადების ტექნოლოგიური ციკლები, სასიკეთო ცვლილებები ხდება საქმისადმი დამოკიდებულების მხრივაც.

გაერთიანების ინჟინერები, კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, ტექნიკოსები, შემოქმედებითად მოაზროვნე მუშები ყველაფერს ღონობენ ძირითადი პროდუქციის სრულყოფისათვის, მანქანების კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის.

დიახ, ეს ბეშმარიტებაა, მაგრამ მართალია ისიც, რომ კოლექტივმა შრავალი სირთულე უნდა დაძლიოს მთელი რიგი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, კერძოდ პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლ ა დ, სახელშეკრულებო დისციპლინის დასაცავად. გაერთიანების კოლექტივმა საიუბილეოდ გაზრდილი ვალდებულება იკისრა და უნდა ვივარაუდოთ, რომ არ გატეხს სიტყვას, გეგმის გადამეტებით 800 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

• • •

სურათებზე: მესამე საამქროს ინჟინერი ქ. ოსაყმაშვილი; ინჟინერები ვ. სამკუაშვილი და ქ. მამალაძე გამოთვლითი მანქანების რეგულირების დროს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“

დაპირება გრძელდება

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ რედაქციავ! ისეთ საკითხზე გწერთ, რომელიც თქვენთვის ახალი არ იქნება, რადგან ბევრი გაწუხებთ.

21 წელი ველოდები ტელეფონის დადგმას. 1966 წელს, როცა განცხადება დავწერე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, იმედი მქონდა, ტელეფონს დამიდგამდნენ და ალბათ ამირდებოდნენ, დაპირება კი დღემდე დაპირებად რჩება. ახლა უკვე შრომის ვეტერანი, პენსიონერი გახლავართ, მაგრამ საშველი მაინც არ დამადგა.

1986 წლის დეკემბერში ორჯონიკიძის რაიონის სატელეფონო სადგურის უფროსი დამპირდა, ბაგებში ტელეფონების დადგმა 1987 წლის მეორე კვარტალამდე მთლიანად დამთავრდება და თქვენც მაშინ დაგაკმაყოფილებთო. უკვე მეოთხე კვარტალი დაიწყო, ჩვენ კი არაფერი გვეშველა.

გთხოვთ გაგვარკვიოთ, რამდენი წელი დასჭირდება ბაგებში ტელეფონის კაბელის გაყვანას და ტელეფონის რიგის მიხედვით დადგმას?

არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საკმაოდ ხშირად ბაგებში ტელეფონები ურიგოდ ედგმებათ იმათ, ვინც არავითარი შეღავათებით არ სარგებლობს.

Თ. ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი.

მდინარე შველას ითხოვს

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲖᲔ ამბობენ, სიცოცხლის დედა არისო. მათი სისუფთავე გარემოს დაცვის აუცილებელი პირობა რომ არის, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ზუგდიდის საბროილერო ფაბრიკის მესვეურნი რატომღაც არად დაგდებენ ამას და მდინარე ჯუმას უმოწყალოდ წამლვენენ... საამქროებიდან ნახმარი წყლის ჩაშვებით.

უკვე სამ წელზე მეტია, რაც ასე იწამლება მდინარე, მისი შემოგარენი და გამკითხავი არავინ არის.

ადრე მდინარე ჯუმა მეტად წყალუხვი იყო. მის ნაპირებზე სიცოცხლე ჰყვაოდა, მაგრამ ეს უკვე მოგონებად დარჩა. ახლა წყალი ისეა გაბინძურებული, რომ საფრთხე ექმნება მოსახლეობას, ფაუნასაც და ფლორასაც.

მდინარეში თანდათან ქრება სიცოცხლე. სანაპიროზე გაბარებულ ხეებსა და მცენარეებსაც განმობა ელით. მდინარის მახლობლად მცხოვრენი ისე არიან შეწუხებული მყრალი სუნით, მოღრღნელებისა თუ მავნე მწერების მომრავლებით, რომ ლამის აიყარონ...

ვინმემ ისე არ გაგვიგოს, თითქოს აქ საბროილერო ფაბრიკის არსებობის წინააღმდეგი ვიყოთ. არა, სრულებითაც არა. მაგრამ თავის დროზე, ასეთი დიდი მწარმოებლური ფაბრიკის აშენებისას გათვალისწინებული ხომ უნდა ყოფილიყო გამწმენდი ნაგებობა, რომელიც გარემოს გაბინძურებისაგან დაიცავდა?

მდინარე შველას ითხოვს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲙᲐᲕᲠᲘᲙᲐᲕᲔᲚᲘᲐ,
ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲯᲘᲭᲘᲐ,
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐ,
ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲚᲐᲒᲢᲐᲠᲘᲐ,

პარტიის, შრომისა და ომის ვეტერანები.
ზუგდიდის რაიონი, სოფელი ცაიში.

რა ფასი აქვს ასეთ განცხადებას?

ᲒᲐᲖᲔᲗ „თბილისის“ ამა წლის 14 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბმომეურნეობის სამმართველოს განცხადება, რომელშიც ეწერა, რომ სამმართველო ბოდიშს უხდის და აფრთხილებს ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის ზონაში მყოფ მომხმარებლებს იმის გამო... რომ ახალი ობიექტების საეკსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მაგისტრალური თბომესლის რეკონსტრუქციისათვის 20 ოქტომბრამდე ცხელი წყლის მიწოდება შეუწყდებათ ქვემოთ ჩამოთვლილ მომხმარებლებს: (ტექსტი დაცულია) და შემდეგ ჩამოთვლილი იყო ის საცხოვრებელი სახლები და საწარმო-დაწესებულებები, რომლებსაც აღნიშნულ ვადამდე შეუწყდებოდათ ცხელი წყალი.

კეთილი და პატიოსანი, რა უნდა იყოს იმაზე კარგი, რომ თბომეურნეობის სამმართველო წინასწარ გვამცნობს ცხელი წყლის მიწოდების მოსალოდნელ შეფერხებას და საშუალებას გვაძლევს შესაბამისი თადარიგი დავიჭიროთო, თანაც გარკვეული უხერხულობისათვის ბოდიშსაც გვიხდის. მართალი „ეითხრათ, ასეთი მზრუნველობა-ბოდიშებით განებივრებულნი არ გახლავართ და მადლობის მეტი. რა გვეთქმოდა თბომეურნეობის სამმართველოს მუშაკებისათვის, ორი მეტად მნიშვნელოვანი უზუსტობა რომ არა, რამაც ეს ინფორმაცია დეზინფორმაციად აქცია.

საქმე ის არის, რომ, როდესაც ეს ცნობა გამოქვეყნდა, იქ აღნიშნულ საცხოვრებელ სახლებსა და საწარმოებს უკვე მთელი კვირა შეწყვეტილი ჰქონდათ ცხელი წყალი. მეორეც ის, რომ, როგორც განცხადებიდან ირკვევა, წყლის მიწოდება 20 ოქტომბერს უნდა განახლებულიყო, მაგრამ დადგა 20 ოქტომბერიც, 21-იც... 29-ც.

ცხელი წყალი კი არ არის.

ამის შემდეგ, რა ფასი აქვს ასეთ განცხადებას?!

Ზ. ᲭᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
Გ. ᲙᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
Ჯ. ᲥᲐᲨᲘᲐᲜᲘᲫᲔ,
Რ. ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისის ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის I კორპუსის მცხოვრებთა სახელით.

ავლაბრის სტამბა ისტორიის ხსოვნაა

ისტორიის დოკუმენტურ ხსოვნას უწოდებენ მუზეუმებს. ავლაბრის არალეგალური სტამბა იმ დროების ხსოვნაა, როცა ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობის აღმავლობა დაბეჯითებით მოითხოვდა რევოლუციური ძალების გაერთიანებას, მათ შეთანხმებულ საქმიანობას ბოლშევიკური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ნახევარი საუკუნის წინათ თბილისის ყოფილ გარეუბანში უსაჩინო სახლში შეიქმნა ამ სტამბის მუზეუმი. თავისი არსებობის წლების მანძილზე მან ექვს მილიონზე მეტ დამთვალიერებელს ემასპინძლა. დღეს კი წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასალების გაცნობა და მუზეუმის ღონისძიებანი ბევრად უწყობს ხელს საღი ზნეობრივი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას, აქტიურად ეხმარება ახალგაზრდა თაობის იდეურ გამდიდრებასა და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას.

ნახევარი საუკუნის იუბილეს წინ მემორიალური სახლის გვერდით, რომლის სარდაფში იბეჭდებოდა ბოლშევიკური ლიტერატურა, აგებულია მუზეუმის ახალი შენობა. ორიგინალურად დაპროექტებულ აგურის შენობაში განლაგებულია მუზეუმის განახლებული ექსპოზიცია, ხოლო აქვე შექმნილი კინოდარბაზი, სადაც აჩვენებენ დოკუმენტურ ფილმებს, სამუალებას იძლევა გაფართოვდეს მუზეუმის მატიანის ჩარჩოები.

29 ოქტომბერს გაიმართა მუზეუმის განახლებული ექსპოზიციის გახსნა და მისი 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ო. ე. ჩერქეზია, ჯ. ვ. მარგველაძე, ვ. მ. სირაძე, პარტიისა და შრომის ვეტერანები, ქალაქის წარმომბების მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, ახალგაზრდობა.

ლამაზად გაფორმებული ექსპოზიცია საინტერესოდ. ასახავს იმ წლებს, როცა ამიერკავკასიის პროლეტარიატი და გლეხობა ეკონომიკური გაფიცვებიდან გადადიოდნენ პოლიტიკურ გამოსვლებზე. რევოლუციის აღმავლობამ საჭირო გახადა გაერთიანებულიყვნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ძალები და მათი ბრძოლისათვის ხელმძღვანელობა გაეწია ერთ ცენტრს. 1903 წლის მარტში შეიქმნა რსდმპ კავკასიის კავშირი. უკვე წლის დამლევს ვ. ი. ლენინის მითითებით კავკასიის კავშირის კომიტეტმა ფართოდ დაიწყო არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურის გამოცემა — თბილისის გარეუბანში შეიქმნა სტამბა.

მისი შექმნა დაეკალა კომიტეტის წევრს, წარსულში რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშედელს მიხო ბოჭორიძეს. უმკაცრესი პოლიციური თვალთვალის, ფულისა და სასტამბო მოწყობილობის ნაკლებობის პირობებში, იატაკქვეშელებმა ააშენეს უნიკალური ნაგებობა უაღრესი კონსპირაციული ოსტატობითა და საოცრად მოკლე დროში. ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება. აკაკი გელოვანი მრავალი წლის მანძილზე ენერგიულად მუშაობდა ასეთი ლექსიკონის შესადგენად. მან ჯერ კიდევ ადრე შეადგინა მითოლოგიური ლექსიკონის ნამუშევი, რომელიც ო. ლორთქიფანიძის რედაქციით გამოსულ ნ. ა. კუნის წიგნის — „ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები“ მოწმობენ იმასაც, რომ მაშინ აქ ამზადებდნენ პასპორტებსა და სხვა სასუთებს იატაკქვეშა პარტიული მუშაკებისათვის.

სახელოვან იუბილეს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ალავიძემ.

მოხსენება სტამბის ისტორიის, მისი მემორიალური მუზეუმის მრავალი წლის საქმიანობის შესახებ გააკეთა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მ. მახარაძემ.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. მ. კაჭარავა, თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანების მოტორისტი მკერავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. მ. პანკოვა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დ. გ. სტურუა, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ბაქოს ფილიალის დირექტორი მ. ბ. ბაგიროვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ხ. ლ. მაისაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ხ. მ. ბერულავა, პარტიისა და შრომის ვეტერანი, თბილისის 26 კომისრის რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. პ. ლომია.

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი როლი შეასრულა ავლაბრის არალეგალური სტამბის გამოცემებმა ლენინის იდეების პროპაგანდაში, კავკასიის მშრომელი მასების ინტერნაციონალურ აღზრდაში. მემორიალური მუზეუმი სახელოვანი რევოლუციური წარსულის ძეგლია. მას სპატიო ადგილი უკავია ისეთი სტამბების მუზეუმების გვერდით, როგორიცაა ლიფციგის სტამბა, სადაც დაიბეჭდა „ისკრის“ პირველი ნომერი, ბაქოს ლეგენდარული სეიფები და პრაქტიკული კონფერენციები პარტიული მშენებლობის გამოცდილების გამოყენებისა და განვითარების, იდეოლოგიური მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე. მუზეუმში ეწყობა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის ახალგაზრდობის შეხვედრები პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებთან.

მუზეუმის ახალი ვრცელი შენობა მუშაობის დიაპაზონის მნიშვნელოვანი გაფართოების შესაძლებლობას იძლევა. ხსოვნა აქეთკენ გაუკვალავს გზას ათასობით ახალ დამთვალიერებელს — სხვადასხვა ასაკის, ეროვნებისა და პროფესიის ადამიანებს. ყველა მათგანისთვის წმიდათაწმიდაა ეს ძეგლი პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე.

შემთხვევით არ ყოფილა, რომ ორატორებმა გაიხსენეს ჩვენი ქვეყნის განთავლების პიველი სახალხო კომისრის ანატოლი ლუნაჩარსკის სიტყვები. მან მუზეუმს ხატოვნად უწოდა კაცობრიობის გრანდიოზული სამახსოვრო წიგნი. ავლაბრის სტამბის მუზეუმის სტენდებზე აღბეჭდილი ისტორიის ფურცლები ეს ფაქტი ერთხელ კიდევ დაადასტურებს. ეს ფურცლები ეუბნებიან ადამიანს შთამაგონებს. გვაცვლებს სტამბაში მომუშავეთა ვაჟკაცობა, ნებისყოფა და რევოლუციური გამჭრიახობა. ქედს ვიხრით ნიჭიერ რევოლუციონერთა წინაშე, რომლებმაც ასე დიდებულად და მოფიქრებულად ააშენეს ეს „შენობა“.

(საქინფორმი).

მ. ფ. ჩხეიძე



გარდაიცვალა თვალსაჩინო საბეურნეო მუშაკი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი მიხეილ ფილიპეს ძე ჩხეიძე.

მ. ფ. ჩხეიძე დაიბადა 1909 წელს ქალაქ ბათუმში, მუშის ოჯახში. 1934 წელს, ხარკოვის საფეიქრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, შეუდგა შრომითა საქმიანობას თბილისის ქეჩის ფაბრიკის საამქროს უფროსის თანამდებობაზე. 1935 წლიდან იგი მუშაობს ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ლაბორატორიის გამგედ, საამქროს უფროსად, 1937 წლიდან კი — დირექტორად. 1939 წელს მ. ფ. ჩხეიძე გადაჰყავთ საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ, ხოლო ერთი წლის შემდეგ — სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსად.

1951 წლიდან მ. ფ. ჩხეიძე პარტიულ სამუშაოზეა — ინიშნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ.

1953 წელს მ. ფ. ჩხეიძე გადაყავთ „საქაბრეშუმმრეწვის“ ტრესტის მმართველად, შემდეგ საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრის პირველ მოადგილედ. 1954 წლიდან მ. ფ. ჩხეიძე მუშაობს საქართველოს სამრეწველო კოოპერაციის (გამგეობის თავმჯდომარედ, ხოლო 1956 წლიდან — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

1957 წელს მ. ფ. ჩხეიძე დაინიშნა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ — მომარაგებისა და მატერიალური ბალანსების კრებსიდი გეგმების სამმართველოს უფროსად და საქართველოს სსრ მინისტრად.

1958-1967 წლებში მ. ფ. ჩხეიძე არის საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანებისა და № 1 ფეხსაცმლის მეთაური ფაბრიკის დირექტორი.

1967-1972 წლებში მ. ფ. ჩხეიძე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრია. პენსიაზე გასვლის შემდეგ მ. ფ. ჩხეიძეს არ შეუწყვეტია ნაყოფიერი საქმიანობა. 1972-1987 წლებში იგი მუშაობს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროს დირექტორად.

მ. ფ. ჩხეიძე იყო შრომისმოყვარე, პრინციპული, გულისხმიერი და ყურადღებიანი, სარგებლობდა ფართო საზოგადოებრიობის დამსახურებული ავტორიტეტით. იგი არაერთგზის აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, საქართველოს სსრ უმაღლესი სამართლის საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

მ. ფ. ჩხეიძის დამსახურება ღირსეულად დაფასეს პარტიამ და სახელმწიფომ. იგი დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით.

მ. ფ. ჩხეიძის, თვალსაჩინო საბეურნეო მუშაკის, შესანიშნავი მოქალაქის, გულითადი და გულისხმიერი ადამიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება რესპუბლიკის შრომელთა გულში.

ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. ბილაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჩხეიძე, ო. ვ. მელქაძე კ. ვ. ჯანჯღავა, ბ. ნ. მაყაშვილი.

რეცენზია

უდავოდ დიდი საქმე გაკეთდა

კარგად არის ცნობილი, თუ რაოდენ ამდიდრებს ერის კულტურის საგანძურს ენციკლოპედიები, დარგობრივი, სიტყვა-ცნებათა განმმარტებელი ლექსიკონები. ამიტომ ყოველი ასეთი წიგნის გამოსვლა დიდ ინტერესს იწვევს როგორც სპეციალისტთა წრეში, ისე მკითხველ საზოგადოებაში. სწორედ ასეთი ინტერესი და თანაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ცნობილი — მწერალსა და მკვლევრის აკაკი გელოვანის მონუმენტურმა „მითოლოგიურმა ლექსიკონმა“ („საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983), რომელიც 720 დიდი ფორმის გვერდს (წვრილი შრიფტით აწყობილს) შეიცავს, უხვად ილუსტრირებული და საჭირო რუკებით შემკულია.

ისეთმა ფენომენმა, როგორიც მითოლოგიაა, უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის კულტურის ისტორიაში. მითოლოგია იყო ის წყაროსთვალი, რომლისგანაც მომდინარეობს დიდი ანტიკური ხელოვნების ყოველი დარგი. მითოლოგიაში წინასწარი ორიენტაციის გარეშე შეუძლებელია არა მარტო ანტიკური, არამედ მერმინდელი მსოფლიო ხელოვნებისა და მწერლობის საგანძურის შესწავლა, მისი აღქმა.

სწორედ ამიტომ აკაკი გელოვანის ვრცელი მითოლოგიური ლექსიკონის გამოცემა ჩვეულებრივ მოვლენად ვერ ჩაითვლება. აკაკი გელოვანი მრავალი წლის მანძილზე ენერგიულად მუშაობდა ასეთი ლექსიკონის შესადგენად. მან ჯერ კიდევ ადრე შეადგინა მითოლოგიური ლექსიკონის ნამუშევი, რომელიც ო. ლორთქიფანიძის რედაქციით გამოსულ ნ. ა. კუნის წიგნის — „ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები“ (1965 წ.).

ამჯერად ჩვენს ხელთაა „მითოლოგიური ლექსიკონის“ მონუმენტური კორპუსი, რომელიც ოთხი ათასამდე სიტყვა-ცნების განმარტებას გვაწვდის. ანტიკური მითოლოგიასთან ერთად გათვალისწინებულია მეტად საყურადღებო მასალა აღმოსავლური, სკანდინავიური, ეგვიპტური, შუმერული და სხვა მითოლოგიიდან, ვრცლად არის წარმოდგენილი ქართული მითოსიდან შომდინარე ცნებები.

ლექსიკონის ავტორს, შეიძლება ითქვას, ტიტანური შრომა გაუწევია. „მითოლოგიური ლექსიკონი“ მკითხველს აწვდის საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას. საამისოდ ავტორს გამოყენებული აქვს დიდძალი სპეციალური ლიტერატურა.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ხსენებული წიგნის გამოცემით, უდავოდ, კარგი საქმე გააკეთა. გამომცემლობის მიერ ასეთი დიდი საქმის შესრულებისა და წიგნის ავტორის დაუცხრომელი შრომის სათანადოდ დაუფასებლობას ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

ჩვენი აზრით, არათუ სასურველი, არამედ **საჭიროა არის აკაკი გელოვანის „მითოლოგიური ლექსიკონის“ კვლავ გამოცემა.**

ცხადია, ახალ გამოცემაში ავტორმა და სპეციალურმა რედაქციამ აუნდა გათვალისწინონ მართებული და მისაღები შენიშვნები: უნდა დაიხვეწოს ზოგიერთი სიტყვა-ცნების განმარტება და გასწორდეს ცალკეული ლაფსუსები თუ უზუსტობანი, რომლებიც ასეთი მოცულობისა და შინაარსის ლექსიკონებს პირველ გამოცემაში თითქმის ყოველთვის ახლავთ ხოლმე.

აკაკი ურუშაძე,
პროფესორი.

მეცნიერება

მიკროზექნიკა დღეს

არამცთუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ადამიანის საქმიანობის ერთი სფეროც კი არ არის დღეს, რომლის წინსვლისა და განვითარებისათვის აუცილებელი არ იყოს მიკროელექტროტექნიკა. ამიტომაც გამოიწვია ცხოველი ინტერესი მიკროელექტროტექნიკის პრობლემებისადმი მიძღვნილმა ტრადიციულმა საკავშირო-სამეცნიერო კონფერენციამ. იგი ამჯერად მეთორმეტედ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თაოსნობით და მიეძღვნა უმაღლესი სასწავლებლის მიკროელექტრონიკის 25 წლისთავს.

მეცნიერთა ამ წარმომადგენლობით შეხვედრის მასპინძლობის პატივი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხვდა.

კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ამაღლობელმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ჩხეიძემ.

სამი დღის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მრავალი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთა შვიდასამდე ინფორმაცია მოისმინეს კონფერენციის ოთხ სექციაზე.

კონფერენციის მონაწილენი გულდასმით გაეცნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო კომპლექსს, რომელიც აერთიანებს მიკროელექტრონიკის კათედრას, მიკროელექტრონულ სისტემათა კვლევის რესპუბლიკურ ცენტრს და დარგობრივ ლაბორატორიას.

(„კომ“. კორ.).

„პარტიული სიტყვა“ № 20

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეოცე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია საფრანგეთის საზოგადოებრივ ობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მ. ს. გორბაჩოვის საუბრის ნაწყვეტები — „გარდაქმნამდე ცხოვრებამ მიგვიყვანა“.

რუბრიკით „სიტყვას საქმე განმტკიცებს“ გამოქვეყნებულია შრომითი პატაკები — ორი წლის დავალება საოქტომბროდ!

ლია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს ეძღვნება მრავალფეროვანი მასალები, რომლებსაც ერთიანებს ერთი აზრი: ილია ჩვენი თანამედროვეა, რომლის შემოქმედება გვეხმარება ვიცხოვროთ, ვიღწოდეთ, ვიმოქმედოთ.

ნომრში (გამოქვეყნებულია მასალები სამედიცინო, საერთაშორისო თემებზე, სხვა კორესპონდენციები.

✦ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

70 1917·1987

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘ

ᲯᲐᲜᲝᲛ. „ოქტომბერი და თანამედროვეობა“ — ასეთია ვიეტნამის დედაქალაქის ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის პროფკავშირთა კულტურის სასახლეში გახსნილი ფოტოგამოფენის თემა. იგი ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს.

სურათები ასახავენ საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდს, წარმოაჩენენ დიდი ოქტომბრის სათავეებთან მდგომი ადამიანებისა და ჩვენი თანამედროვეების სახეებს, რომლებიც განაგრძობენ რევოლუციის საქმეებს. გამოფენის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩვენებას, რაც ვიეტნამში წარმატებული სოციალისტური მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

ᲚᲐᲝᲡᲘ

ᲕᲘᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ. ლაოსის დედაქალაქის ცენტრალურ კინოსაკონცერტო დარბაზში გაიხსნა საბჭოთა ფილმების კვირეული, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს. ვიენტიანის, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთი და სამხრეთი პროვინციების მცხოვრებლები ნახავენ საბჭოთა კინემატოგრაფისტების მიერ სხვადასხვა წლებში შექმნილ 16 ფილმს. ფილმები დაეხმარება ლაოსის მცხოვრებლებს მეტი შეიტყონ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ფაშიზმთან საბჭოთა ხალხის ბრძოლის, საბჭოთა საზოგადოების თანამედროვე განვითარების შესახებ.

ᲒᲐᲜᲐ

ᲐᲙᲠᲐ. „დიდი ოქტომბრის გავლენა აფრიკის განმათავისუფლებელ ბრძოლაზე“ — კონფერენცია ასეთი სახელწოდებით გაიხსნა განის დედაქალაქში..

1917 წლის ოქტომბერში მსოფლიოში პირველი მშრომელთა სახელმწიფოს დაბადება რომ არა, წარმოუდგენელი იქნებოდა აფრიკის ქვეყნების დიდი უმრავლესობის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, განაცხადა კონფერენციაზე განის ეკონომიკური თანამშრომლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მდივანმა ერიკ დონ-არტურმა. 70 წლის მანძილზე სსრ კავშირი იქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ასპარეზზე, ხაზგასმით აღნიშნა მან. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა კავშირი ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა სამართლიანი ბრძოლის საიმედო ბურჯი გახდა, მის წარმატებებში აფრიკისა და სხვა კონტინენტების ხალხები ხედავენ კოლონიალიზმისა და რასიზმისაგან საბოლოოდ განთავისუფლების იმედს, ისინი ეროვნული მშენებლობის საქმის საწინდრად მიიჩნიათ.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐ

ᲯᲐᲠᲐᲢᲐ. მსოფლიო ისტორიაში არ მოიპოვება მოვლენა, რომელიც თავისი მასშტაბითა და კაცობრიობის ბედზე ზეგავლენით შეედრებოდეს დიდ ოქტომბერს, განაცხადა ზიმბაბვეს მმართველი პარტიის — აფრიკელთა ეროვნული კავშირი — პატრიოტული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ამ პარტიის მდივნის მოადგილემ იდეოლოგიისა და კულტურის საკითხებში ნელსონ მავემამ. იგი გამოვიდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ მასობრივ მიტინგზე, რომელიც გაიმართა ზიმბაბვეს დედაქალაქში.

სოციალიზმის იდეებს მსოფლიოს მთელი ხალხები უკავშირებენ თავიანთი ნათელი მომავლის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის იმედებს, ხაზგასმით აღნიშნა ნ. მავემამ. დიდი ოქტომბრის მიერ გაკვალული გზით ახლა მიემართება ათობით ქვეყანა, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მიდწევები ძალებსა და შთაგონებას მატებს.

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

- ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ
- ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ
- ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ
- ᲛᲐᲡᲘᲒᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

ᲣᲙᲘᲠᲘᲕᲘᲢᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ 30 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲡ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრთა კომიტეტის მორიგი სხდომის დამთავრების შემდეგ, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში 28-29 ოქტომბერს გაიმართა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე ვაშინგტონს გაფრინდა.

მისი მოგზაურობის მიზანია პრეზიდენტ რ. რეიგანს გადასცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის წერილი და განაგრძოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან და სახელმწიფო მდივანთან საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკვანძო საკითხებზე.

ვაშინგტონში გაფრენის წინ ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ პრაღაში საგარეო საქმეთა მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე მან კონსულტაციები გამართა და სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის ქვეყნების წარმომადგენლებმა სავსებით დაუჭირეს მხარი ასეთი მოლაპარაკების განგრძობას.

◆ ᲛᲐᲕᲠᲘᲢᲐᲜᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲐᲠᲐᲕᲓᲐ ᲨᲔᲛᲗᲘᲛᲣᲚᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. მავრიტანიაში დაპატიმრეს 50 კაცი, უმთავრესად არმიის ოფიცრები, ეროვნული ხსნის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის, სახელმწიფო მეთაურის მაუია ულდ სიდი აბმედ თაიას დამხობის მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

როგორც რეიტერის საგენტო ოფიციალურ პირთა დამოწმებით ნუაკშოტიდან იუწყება, შეთქმულთა შორის არიან უმაღლესი სამხედრო პირები — პრეზიდენტის დამცველი ესკადრონის უფროსი ვენერალური შტაბის ოფიცრები, აგრეთვე ქვეყნის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი პოლკოვნიკი ახე აბდუ ბაბალი. ყველანი სპეციალურ სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

შეთქმულნი აპირებდნენ 22 ოქტომბერს მოეწყოთ გადატრიალება, მაგრამ მავრიტანის უშიშროების ძალებმა იგი გამოაშკარავეს. აჯანყების ცდა მთელი მავრიტანიელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და ავანტიურაა, განაცხადა ეროვნული რადიოთი გამოსვლისას ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯიბრილ ულდ აბდალამ.

◆ ᲐᲨᲨ-ᲘᲠᲐᲜᲘ

ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲦᲔᲡ ᲔᲛᲑᲐᲠᲒᲝ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. პრეზიდენტ მ. რ. რეიგანმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებულებას, რომლის თანახმად ოფიციალურად შემოღებულია ემბარგო უშუალოდ ირანიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში პროდუქციის იმპორტზე. ახალი სავაჭრო სანქციები თეირანის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ შევიდა ძალაში. ამერიკის კონგრესისადმი სპეციალურ წერილში პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ „ირანის აქციები სპარსეთის ყურეზე უშუალო საფრთხეს უქმნის არა მარტო ამერიკის, დროშით მცურავ გემებს, არამედ ჩვენი მოკავშირეებისა და სხვა მეგობარი სახელმწიფოების გემებსაც“.

◆ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲡ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚ ოკუპანტთა სისხლიან დანაშაულობათა წინააღმდეგ მასობრივმა საპროტესტო გაფიცვამ მოიცვა ამას წინათ მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირი და ღაზის სექტორი. ათასობით პალესტინელი გამოვიდა ქალაქების ქუჩებში, რათა პატივი მიეგოთ ტერორის მსხვერპლთა ხსოვნისათვის, კიდევ ერთხელ დაედასტურებინათ, რომ კვლავაც იბრძოლებენ სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ისრაელი ხელისუფლები ტერორითა და რეპრესიებით შეეცადნენ არაბთა გამოსვლის ჩაცხრობას.

სურათზე: დაპატიმრებული პალესტინელი ჭაბუკები იერუსალიმის გარეუბანში.

ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲡ

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ

✦ ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. სალვადორის პატრიოტულმა ორგანიზაციებმა მიიღეს გადაწყვეტილება უარი თქვან დუარტეს რეჟიმთან მოლაპარაკების მორიგ რაუნდში მონაწილეობაზე, რომელიც მექსიკის დედაქალაქში 30 ოქტომბერს უნდა დაწყებულიყო.

ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა და მასთან გაერთიანებულმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა ფრონტმა ეს ნაბიჯი იმის პროტესტის ნიშნად გადადგეს, რომ ორშაბათს სან-სალვადორში მხეცურად მოკლეს სალვადორის ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ერბერტ ანაია.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲘ

ᲓᲘᲡᲙᲚᲔᲘ ᲥᲐᲠᲡᲐᲠᲘᲓ ᲛᲘᲜᲐᲖᲔ

ᲢᲝᲙᲘᲝ. მოძრაობის სიჩქარისა და ავტომანქანის მუშაობის რეჟიმის შესახებ მძღოლისათვის საჭირო ინფორმაციის მიღებას გზიდან თვალის მოწყვეტლივ უზრუნველყოფს ავტომანქანის ქარსარიდ მინაზე ციფრული მონაცემების ინდიკაციის სისტემა, რომელიც იაპონიის ავტოსაშენებელმა ფირმამ „ნისანმა“ შექმნა.

მანქანის სიჩქარე და გარბენა, ძრავის ბრუნვათა რიცხვი და მოწყობილობათა სხვა მაჩვენებლები იწერება პირდაპირ მინაზე მძღოლის თვალწინ. ფირმის სპეციალისტთა აზრით, ამ სისტემის გამოყენება ავტომანქანით მგზავრობას უფრო უსაფრთხოს გახდის, ვინაიდან მძღოლს აღარ დასჭირდება თვალის გადატანა ხელსაწყოების პანელზე, რომლის დროსაც კარგავს სწრაფად ცვლილებადი საგზაო ვითარების კონტროლს. ხელსაწყოთა ჩვეულებრივ პანელთან შედარებით, მინაზე გამოსახული ინდიკაციია მონაცემთა დათვლის დროს 80 პროცენტით ამცირებს.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ხელვაჩაურის რაიონში „კოლხობა“ სახალხო ზეიმად დამკვიდრდა. იგი ეწყობა შემოდგომაზე, როცა ძირითადი სასოფლო სამუშაოები დამთავრებულია. ახლანდელი შრომის ზეიმი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს დაემთხვა.

დიდებული სანახაობა კოლხობა. ძველი საბრძოლო იარაღით აღჭურვილი

კოლხები ეგზეკვიანან არგონავტებს,

რომლებიც შორი გზიდან მოდიან. თვალწინ ცოცხლდება მითიცა და სინამდვილეც.

სახალხო ზეიმზე მიწვეული იყვნენ აჭარის ყველა კუთხიდან. სტუმრები გაეცნენ ხელვაჩაურელთა შრომითს წარმატებებს, სარფის კოლმეურნეობის მოწინავეებს, რომლებმაც თავდადებული გარჯით გაითქვეს სახელი. ზღვის პირას, თეატრალიზებულ სანახაობაში აისახა კუთხის ტრადიციები და თავისებურებანი. ბოლოს მოვდნები დაეთმო მხატვრულ თვითმოქმედებასა და სპორტს.

▲▲

მეხუთეკლასელ მოსკოველ მოსწავლეს პოლინა ოსტროვსკაიას კარგად იცნობს ჩვენი დიადი სამშობლოს მუსიკალური სამყარო. პოლინას გამოჩენა საკონცერტო ესტრადასა თუ ტელეეკრანებზე მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. —

პირტუოზი პიანისტი

ამჯერად თბილისელების წინაშე წარსდგა. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მან ორი კონცერტი გამართა. გუშინ პიანისტმა გოგონამ გასტროლები დაამთავრა.

პროგრამაში იყო ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის, დებიუსის, პროკოფიევისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

აბარას ეწვია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყოველკვირეული გაზეთის „ტერის“ მთავარი რედაქტორი მორის დიუპლესი. ვნახეთ გაზეთის რამდენიმე ნომერი. ეს არის „პრავდის“ ფორმატის 12-გვერდიანი ილუსტრირებული გაზეთი, მისი ტირაჟია 400 ათასი.

„ტერი“ მიწას ნიშნავს

თვით სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ გაზეთი სასოფლო-სამეურნეო ხასიათისაა. მისი პუბლიკაციების სფერო მრავალფეროვანია: სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზები, უახლესი ტექნიკა, იურიდიული კონსულტაციები, ბაზრის ფასები რეგიონების მიხედვით, რჩევა-დარიგება დიასახლისებს და სხვა.

მორის დიუპლესის ჩამოსვლის მთავარი მიზანი იყო გაესცნობოდა ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას. მან თქვა, რომ თავის შთაბეჭდილებებს, გაცვლილსა და ნანახს გამოაქვეყნებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის დღეებში.

„ტერის“ საკუთარი კორესპონდენტების და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა **რ. გასილაუშვილმა.**

საქართველო საზღვარგარეთ

ნაამბობი ჩამოსულისა და წამსვლელისა

ჯერ ჩამოსულს ვესაუბროთ. იგი ანზორ ერქომაიშვილია — ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. ანზორი ანსამბლთან ერთად ექვსთვიანი საგასტროლო მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ახლა სიამოვნებით გვიზიარებს შთაბეჭდილებებს, ოღონდ ეს შთაბეჭდილებები იმდენია, როგორც იტყვიან, შემოკლებული სახით თუ მოგაწოდებთ, თორემ სხვა საშველს ვერ ვხედავ, არადა, როგორ არ გაგიზიაროთ მისი ნაამბობი, ვთქვათ, ასეთი ეპიზოდი:

— ტუნისში ჩვენს კონცერტს უცხოელი ტურისტებიც ესწრებოდნენ. კონცერტი რომ დამთავრდა, ჩვენთან მოვიდა მოხუცი ცოლ-ქმარი — ინგლისელები. შეგვაქეს და უცვნ ჩართეს მაგნეტოფონი, რომლიდანაც „მრავალჟამიერის“ ჰანგი გადმოიღვარა. თურმე ამ სამი წლის წინათ შეეცალიაში ჩვენი ყოფნის დროს, ესენიც იქ ყოფილან, კონცერტს დასწრებიან, ჩაუწერიათ ქართული სიმღერები და ახლა, სადაც კი მიდი-მოდიან, თურმე თან დაიქვთ მაგნიტოფონი, რომ ჩვენი მელოდიები მოისმინონ... სხვათა შორის, ერთი ფრანგი ახალგაზრდა კაციც გავიცანით, რომელმაც აგრეთვე, მოგვასმენინა ჩვენი სიმღერები...

რა ვქნა, ან ეს ეპიზოდი როგორ არ მოგაწოდოთ?

— ბეირუთში (დასავლეთ ბეირუთში), — მიამბობს ანზორი, — ჩვენი ძველი ნაცნობი — პარტიის ლიდერი ვალიდ ჯუმბლათი დაგვხვდა. ალბათ, იცით, იგი ნამყოფია საქართველოში და ძალიან ვუყვარვართ ჩვენ — საქართველოს ისტორია, ლიტერატურა და ხელოვნება... კონცერტები აქაც ღია ცის ქვეშ ვა სამი წლის წინათ ჩვენთვის სპეციალურად აგებულ ესტრადაზე გვქონდა. ჯუმბლათმა გვითხრა: სანამ მე ვიქნები აქ ხელმძღვანელი, ეს ესტრადაც იქნება და ყოველ წელს მოგიწევთ კონცერტების გასამართავადო. თავის რეზინდეციაში გამართულ დარბაზობაზე კი თქვა: ბედნიერი ხალხი ხართ ქართველები, რადგან ასე იცავთ ძველ ტრადიციებს, უფრთხილდებით ფოლკლორს... მსოფლიო მაქვს მოვლილი და არსად ასეთი რამ არ მინახავს. ფოლკლორი ხალხის სულის სარკეა, რომელშიც თაობები იხედებოდნენ, დადგება დრო, სხვადასხვა ერები მოიძიებენ ფოლკლორს, მაგრამ გვიანღა იქნება... წუხელ თქვენ რომ არაბული ცეკვა შეასრულეთ, ასე ოსტატურად უკვე ჩემიანები ვეღარ ცეკვავენ... ევროპის ეგრეთ წოდებულმა „კულტურამ“ ლამის დაგვავიწყოს, ვინ ვართ და საიდან მოვდიგართო...

მერე, რატომღაც, გაიხსენა ქართველების მონაწილეობა დიდ სამამულო ომში, და რომ გიგო ყოველივე, წამოიდგა, თავისიანები გააჩუმა, რამდენიმე წუთი თავდახრილი, გარინდული იდგა და მერე ომში დალუპული ქართველების ხსოვნისა შესვა...

მოდით, ანზორის ერთ ნაამბობსაც გაგიზიარებთ:

— ცნობილია, — ჰყვება იგი, — რომ ბეირუთი ორ ნაწილად არის გაყოფილი, აღმოსავლეთ ბეირუთში ათ წელზე მეტია საბჭოთა კავშირიდან არავინ ჩასულა. და აი, იქაური პარტიის ლიდერებმა სურვილი გამოთქვეს, „რუსთავს“ გაემართა კონცერტები. ამით ჩვენი საელჩოც იყო დაინტერესებული. როგორც იქნა, დიდის ამბით გადაგვიყვანეს აღმოსავლეთ ბეირუთში და კაზინო „დელიბანში“ გავმართეთ კონცერტი, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად. კონცერტი გადაიღო ამერიკულმა ტელეკომპანია „ეიბი-სიმ“, მანვე ჩამომართვა ინტერვიუ. საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებმა მადლიერებით გვითხრეს: ისე წაიყვანეთ საქმე, აწი აღმოსავლეთ ბეირუთს ჩვენი ქვეყნის სხვა მხატვრული კოლექტივებიც ეწვევიანო... გაბადრული იდგა ვახტანგ გველესიანი — საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი.

ლიბანიდან გადავფრინდით სირიაში, სადაც დაგვხვდა ჩვენი თანამემამულე ლევან საღარაძე. ეს საოცარი კაცი გვერდიდან აღარ მოგვცილებია, გახარებული იყო. დამფფასეს, ილია ჭავჭავაძის იუბილეზე დამპატიჟესო... იქ, დამსაკოში, საბჭოთა კავშირ-სირიის კულტურის დღეები მიმდინარეობდა. ჩვენ გახსნის პატივი გვხვდა. კონცერტის წინ მოვიკითხეთ ჩვენი ჩაცმულობა და აღმოჩნდა, რომ კოსტიუმების ნახევარზე მეტი ლიბანში დარჩენილიყო დატვირთვის დროს. რა უნდა გვექნა, მალე კონცერტიც დაიწყებოდა. მოხდა სასწაული: აქედან ლევან საღარაძის, იქიდან ჯუმბლათის დახმარებით კოსტიუმები ჩამოიტანეს ლიბანიდან და მხოლოდ ნახევარი საათი დავაგვიანეთ კონცერტის დაწყება...

ამა, ეს მომენტები როგორ არ გამეცნო თქვენთვის?

ახლა კი რედაქციის დავალება შევასრულოთ: ორი გვერდი ინტერვიუსთვის!

— ბატონო ანზორ, დავიბუსტოთ: ამჯერად რამდენ ქვეყანაში იყავით?

— ორი მაისიდან მოვიარეთ ალჟირი, ტუნისი, ლიბანი, სირია, ლიბია, მაროკო... ერთი თვე „შეგისვენეთ“ — ლენინგრადსა და სოჭში „ინტურისტისათვის“ ვმუშაობდით და ისევ უკან „გაგვიძახეს“.

— ამ ქვეყნებში ადრეც ყოფილხართ?..

— არა, მარტო ლიბანში ვართ ნამყოფი...

— რა უფრო დაგახსომდათ?

— ალჟირში — მაყურებელი... ასეთი რამ მართლაც პირველად ვნახეთ: ჩვენი სიმღერისა თუ ცეკვის დაწყებისთანავე მთელი დარბაზი გვყვებოდა: ტაშს უკრავდნენ, როკავდნენ, მღეროდნენ, დამთავრებისთანავე ნომერი და დარბაზიც გაისუსებოდა. მთელი ეს ერის მოსაწონი, რომ აიყოლეთ ხალხი შესვა...

მოდით, ანზორის ერთ ნაამბობსაც გაგიზიარებთ:

— ეს ამბავი, — ჰყვება იგი, — რომ ბეირუთი ორ ნაწილად არის გაყოფილი, აღმოსავლეთ ბეირუთში ათ წელზე მეტია საბჭოთა კავშირიდან არავინ ჩასულა. და აი, იქაური პარტიის ლიდერებმა სურვილი გამოთქვეს, „რუსთავს“ გაემართა კონცერტები. ამით ჩვენი საელჩოც იყო დაინტერესებული. როგორც იქნა, დიდის ამბით გადაგვიყვანეს აღმოსავლეთ ბეირუთში და კაზინო „დელიბანში“ გავმართეთ კონცერტი, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად. კონცერტი გადაიღო ამერიკულმა ტელეკომპანია „ეიბი-სიმ“, მანვე ჩამომართვა ინტერვიუ. საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებმა მადლიერებით გვითხრეს: ისე წაიყვანეთ საქმე, აწი აღმოსავლეთ ბეირუთს ჩვენი ქვეყანა ეწვევიანო.

მაროკოში ასეთი რამ მოხდა: გამმიერკვა, თურმე კულტურის სამინისტროს სახსრები არ ჰქონია ჩვენს მისაღებად. მაშინ ეს საქმე ითავა ამდენჯერ ფენიშმა — ახალგაზრდა ექიმმა, რომელსაც მოსკოვის ინსტიტუტში უსწავლია. ნაბეიერი კაცია, კონსერვატორიაც აქვს დამთავრებული მოსკოვში — საკომპოზიციო ფაკულტეტი, მხატვარიც არის, ქორეოგრაფიც, საქართველოში ნამყოფია, დიდ პატივს სცემს ქართულ ხელოვნებას და თავისებურად ამტკიცებს: ბასკების, ქართველებისა და მაროკოელების ცეკვებს ერთი ძირი აქვთო... გამოვედით კასაბლანკაში — ულამაზეს, უსუფთაოეს, თეთრ ქალაქში...

— წარმატებებზე აღარც გეკითხებით, ისე მივეჩვიეთ...

— სიმართლე გითხრათ, წარმატება მართლა გვქონდა. ჩამოვიტანეთ მთელი დასტა პრესისა, რომელშიც ბევრი სასიამოვნო რეცენზიაა დაბეჭდილი...

— მიეთვალოს „რუსთავის“ წარმატებებს...

— გმადლობთ.

* * *

ახლა წამსვლელს მოვუსმინოთ. იგი თემურ გუგუშვილია, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ტენორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. იგი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა.

— ბატონო თემურ, როდის იწყება თქვენი გასტროლები?

— პირველიდან თექვსმეტ ნოემბრამდე მაქვს.

— მონღოლეთში, თუ არ ვცდები, ჯერჯერობით არც ერთი ქართველი საოპერო მომღერალი არ ჩასულა...

—შეიძლება... ძალზე იშვიათად რომ ჩადიან, ეს ცხადია. ისე, რომ იცოდეთ, იქ გვყავს ქართველებს „ჩვენი კაცი“ — ულან-ბატორის საოპერო თეატრში უკვე რამდენიმე წელია მთავარ ქორმაისტრად მუშაობს გიგი მუნჯიშვილი.

— რომელ ოპერებში იმღერებთ?

— ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინის“ რამდენიმე სპექტაკლი შედგება და ვიმღერებ ლენსკის პარტიას. გარდა ამისა, დიდი ოქტომბრის საიუბილეო საზეიმო კონცერტში მივიღებ მონაწილეობას, სხვათა შორის, კონცერტი გაიხსნება რევაზ ლაღიძის სიმღერით სამშობლოზე.

* * *

ანზორ ერქომაიშვილთან შედარებით თემურ გუგუშვილს ჯერჯერობით ცოტა აქვს სთქმელი, მაგრამ ჩამოვა და, იმედია, გვიამბობს, თუ რა შთაბეჭდილება დატოვა ქართულმა ვოკალურმა ხელოვნებამ მონღოლ მსმენელზე.

ვ. მარდალეიშვილი.

სურათზე: მაროკოს პრესა ეხმაურება „რუსთავის“ გასტროლებს.

მაღლობგო, ნუ დაიოგლოგთ თქვენს ოჯახეგს!

სახელმწიფო ავტოინსპექცია მკაცრად სჯის მძღოლებს, რომლებიც მთვრალი მართავენ ავტომანქანას, მაგრამ ზოგიერთისათვის დასჯა და გაფრთხილება მგლის თავზე სახარების კითხვაა.

ავტომობილის საგზესთან მეორედ გამოავლინეს მთვრალები:

ნავთობბაზის სარემონტო-სამშენებლო კანტორის მუშა უსუბ **ნავრუზოლლი,** „ინჟმშენის“ ტრესტის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშა ხვიჩა გურამის ძე **ხუბულური.**

მართვის მოწმობები არ ჰქონდათ და მთვრალი მართავდნენ ავტომანქანებს თბილისში ამბროლაურის ქუჩა № 166-ში მცხოვრები ნოდარ ივანეს ძე **ეკიზაშვილი,** „საქმთავარმონტაჟის“ მძღოლი გაბრიელ დავითის ძე **გაბრიელიანი,** ოქტომბრის რაიონის სანიტარიულ წმენდის მუშა ეორა მურაბის ძე **ნახიანი,** სამხედრო მოსამსახურე ვლადიმერ იაკობის ძე **კოლესნიკი,** ტელევიზორების ქარხნის ტექნოლოგი ილია კორნელის ძე **კილურაძე,** თბილისში ბაგრატიონის ქუჩა № 20-ში მცხოვრები ეუმუშევარი ნოდარ იოსების ძე **სალარაძე.**

თავზეხელაღებული მძღოლების მოქმედებას, ალბათ, სათანადოდ შეაფასებენ ის ორგანიზაციები, სადაც ისინი მუშაობენ. და „კომუნისტის“ რედაქციასაც აცნობებენ, თუ რა ზომები მიიღეს.

ᲔᲐ RABAT-SALE

SPECTACLES

Sous l'égide de l'Association «Ribat Al Fath» au Théâtre Mohammed V

Le Matin du Sahara 10.10.87

Les R'Batis invités à un spectacle fabuleux avec l'ensemble «Roustavie»

Formation géorgienne de renommée mondiale, la Troupe "Roustavie" est actuellement au Maroc, pour une série de représentations organisées sous l'égide de l'association "Ribat Al Fath". Troupe de renommée mondiale composé de 36 artistes et ayant déjà fait plusieurs fois le tour du monde, cette formation se produira au théâtre national Mohammed V, le 10 octobre à 17 h 21 h, et le 11 octobre à 10 h pour les enfants et les étudiants (tarif réduit).

A Casablanca, elle se produira au cinéma Rialto, le 14 octobre à 21 h.

Un spectacle grandiose qu'il ne faut aucunement rater.

Rida

კულტურის ფონდში

ᲕᲐᲛᲠᲐᲕᲚᲝᲗ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ

ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდი, მის კვალდაკვალ კი საქართველოს კულტურის ფონდი. მაგრამ უკვე შეიძლება მისი მუშაობის დადებით შედეგებზე ლაპარაკი.

— ეყრდნობა რა სხვადასხვა შემოქმედებითი ორგანიზაციის, საწარმოო კოლექტივისა და დაწესებულების, ცალკეულ კოლექციონერთა ფართო მონაწილეობას, —თქვა საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარემ, პროფესორმა **თ. ბუაჩიძემ,** — ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაცია აქტიურად ჩაება საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდის ძირითადი მიზნების რეალიზაციაში. ეს არის, ძირითადად, ოთხი პროგრამა — „ხსოვნა“, „პუშკინი თაობათა გულში“, „ახალგაზრდობა და კულტურა“ და „დაბრუნება“, რომლებიც ითვალისწინებენ ძეგლების აღრიცხვის ერთიანი სისტემის შექმნას, საქართველოში პუშკინის ადგილების რესტავრაციას, ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის ჩაბმას, სამშობლოში სამამულო კულტურული კუთვნილების დაბრუნებას. ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანები ძალზე პასუხსაგები და, ამასთან, ძალზე საპატიოა. მათი განხორციელებისათვის უნდა გადაეჭრათ მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა ფონდის საწარმოო ბაზის შექმნასთან, ურომლისოდაც შეუძლებელია ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის თვითდაფინანსება.

ნელა, მაგრამ მაინც ყალიბდება საქართველოს კულტურის ფონდის აქტივი. ამ დღეებში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა სპექტაკლი „აბესალომ და ეთერი“, რომლის შემოსავალი გადმორიცხა ჩვენს სალაროში. ამას წინათ მოვაწყვეთ საქართველოში პირველი სურათების კერძო კოლექციების აუქციონი. საზოგადოებრიობა ძალზე დაინტერესდა ჩვენი ღონისძიებით. გაიყიდა ცნობილი ფუნჯის ოსტატების 30-მდე ნამუშევარი. მათი რეალიზაციით მიღებული პროცენტები კი, რომლებმაც 6 ათასი მანეთი შეადგინა, შეტანილია კულტურის ფონდში.

დიდ იმედებს ვამყარებთ საქველმოქმედო საღამოზე, რომელიც გაიმართება კინოთეატრ „ოქტომბერში“. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიაში რეჟისორ რომან ბალოიანის მიერ გადაღებული ფილმის „ფილერის“ დემონსტრაციის შემდეგ მაყურებელი შეხვდება დამდგმელ ჯგუფს, ცნობილ საბჭოთა მსახიობებს ოლეგ იანკოვსკის, ალექსანდრე აბდულოვს, ალექსანდრე ზბრუევს. და, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთი არცთუ იაფია — ერთი ბილეთი 10 მანეთი ღირს, — დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოებრიობა გაითვალისწინებს ჩვენი ღონისძიების საქველმოქმედო მიზნებს და საღამოზე შეიკრიბება.

საქართველოს კულტურის ფონდი და აფხაზეთის ფილარმონია მართავენ საღამოს „მუსიკა, პოეზია, ფერწერა“, რომლებსაც უძღვება ცნობილი პიანისტი ლალი მიქავა, კონცერტების შემოსავალი ჩვენს ფონდს შეემატება.

ვიღებთ პირველ საჩუქრებს. მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ გადმოგვცა ლ. გუდაშვილის ტილო „ოლიმპიადის გამარჯვებული“. დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე გამოცემული წიგნების დიდი კოლექცია ფონდს უძღვნა შოთა აგლაძემ. 1924 წელს პოეტ სიმონ ჩიქოვანის რედაქციით გამომავალი საინტერესო ქართული ჟურნალის „მემარცხენეობის“ კომპლექტი და მდიდარი თეატრმცოდნეობის ბიბლიოთეკა გადმოგვცა თამაზ რობიტაშვილმა.

ფონდს განზრახული აქვს თავისი მუშაობა შეაფასოს არა ოფისიძეებთა რაოდენობით, არამედ კონკრეტული, ცოცხალი საქმეებით. ამ დღეებში სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა რაიონებში გაეგზავნა სპეციალისტთა ჯგუფი. იგი შეისწავლის ეკოლოგიის პრობლემებს, შეეცდება განსაზღვროს ის, თუ რა გავლენა იქონია სტიქიურმა უბედურებამ ადამიანების ცხოვრებაზე, ფსიქიკაზე. კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით ვგეგმავრობთ შევამოწმოთ კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების მდგომარეობა და დაგეხმაროთ იმათ, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ რემონტი, კულტურულ-მასობრივი მუშაობის თანამედროვე დონეზე დაყენება. განზრახული გვაქვს თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში შეექმნათ „საჩუქართა მუზეუმი“. სხვათა შორის, რესპუბლიკაში ძალზე ბევრნი არიან, ვისაც სურვილი აქვს მშობლიურ ქალაქს უძღვნას ყურადღება სურათები, ხელოვნების სხვა ნაწარმოებები. გვინდა აგრეთვე მოვაწყოთ სახვითი ხელოვნების ნიმუშების მოძრავი გამოფენა, რომელიც მოემსახურება ჩვენს სოფლის რაიონებს. მონაწილეობა მივიღოთ თბილისში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შექმნაში. თელავის რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად გადავწყვიტეთ თელავში — შუამთაში ჩამოვაყალიბოთ ამ რეგიონის ხალხური სარწმუნების ცენტრი, თბილისში პროფკავშირებთან ერთად გავხსნათ საქართველოს ქალთა სასახლე. ვეარაუდობთ შევქმნათ მუზეუმების, კლუბების, ბიბლიოთეკების, მოწყობილობის საწარმოო ექსპერიმენტული კომბინატი, ხალხური სარწმუნისა და სუვენირების საწარმოო კომბინატი, ინფორმატიკული გრაფიკისა და მხატვრული ფოტოგრაფიის ლაბორატორია.

საქართველოს კულტურის ფონდი დაიწყებს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სპეციალურ სტიპენდიას ყველაზე ნიჭიერი ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის, შეეფობას გაუწევს რესპუბლიკის სპორტულ სახლებს, იზრუნებს მათი აღსაზრდელების ესთეტიკური აღზრდისათვის, ფოლკლორულ ექსპედიციებს გაგზავნის მაღალი მთის სოფლებში... ასეთია საქართველოს კულტურის ფონდის პირველი ნაბიჯები. ყველა ამ ღონისძიების მიზანია ხალხის სულიერ ღირებულებათა გამრავლება, რესპუბლიკის მშრომელთა კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, გარდაქმნის პასუხსაგები ამოცანების განხორციელებაში მათი ჩაბმა.

(საქინფორმი)

სპორტი

ᲥᲐᲚᲗᲐ 47-Ე ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ...

როგორც მოსალოდნელი იყო, ქალთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთა წინასწარ სიაში რამდენიმე ცვლილება მოხდა. ტურნირში არ ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები — მსოფლიო ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და ირინე ლევიტინა. ისინი დიდოსტატმა ლიდია სემიონოვამ (კიევი), საერთაშორისო ოსტატებმა სვეტლანა მატვეევამ (ფრუნზე) და გულნარა საბატოვამ (ალმა-ათა) შეცვალეს.

იმის გამო, რომ ფრუნზე არ იყო, ზოგი მონაწილე თბილისში მოგვიანებით ჩამოვა. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ვერა ტიხომიროვამ (მოსკოვის ოლქი) წილისყრა გამართა. აი მისი შედეგები:

1. ოსტატი გალინა სტრუტინსკაია (მოსკოვი), 2. ოსტატი ანდა შაფრანსკა (რიგა), 3. ოსტატი აინურ სოფიევა (ალმა-ათა), 4. საერთაშორისო ოსტატი ლარისა პოლნარიოვა (ლენინგრადის ოქსქი), 5. დიდოსტატი ლუდმილა ზაიცევა (მოსკოვის ოლქი), 6. დიდოსტატი ქეთევან არაბიძე (თბილისი), 7. საერთაშორისო ოსტატი სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე), 8. დიდოსტატი მარტა ლიტინსკაია (ლვოვი), 9. მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე (თბილისი), 10. საერთაშორისო ოსტატი ელენარა სახატოვა (ალმა-ათა), 11. ოსტატი რაისა ეიდელსონი (ვიტებსკი), 12. ოსტატი ელვირა ხოროვეცი (მინსკი), 13. ციალა ქასოშვილი (გორი), 14. ოსტატი ფირუზა ველიხანლი (ბაკო), 15. საერთაშორისო ოსტატი ირინე ჩელუშკინა (ლვოვი), 16. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი ნანა იოსელიანი, 17. დიდოსტატი ნინო გურეილი, 18. დიდოსტატი ელენე ახმილოვსკაია (სამარა — თბილისი), 19. დიდოსტატი ლიდია სემიონოვა (კიევი), 20. ოსტატი ალისა გალიამოვა (მოსკოვის ოლქი).

თუ პირველ ადგილს ორი მოჭადრაკე გაინაწილებს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება ორივეს მიენიჭება. ხოლო თუ პირველ ადგილს სამი გაინაწილებს, მაშინ ჩემპიონობა იმას მიენიჭება, ვისაც უკეთესი დამატებითი მონაცემები ექნება. გუშინ მოჭადრაკეებმა პირველი ტურის პარტიები გაითამაშეს.

გ. გამრეკელი.

ᲒᲣᲨᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲐᲘᲜᲓᲣᲚᲐᲓ...

ორიოდე კვირაც და, სსრ კავშირის წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატი დასრულდება. ყოველთვის ასე იყო და ასეა ახლაც: ჩემპიონატის დამთავრების წინა დღეებში შედლების მაძიებლებსა თუ უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის თავგამოდებით მებრძოლებს სხვა გუნდებთან შედარებით მეტი საზრუნავი აქვთ. თბილისის „დინამო“ რომ ძნელ ვითარებაშია, ყველამ ეიცით. ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორ წარმართავენ თბილისელები დარჩენილ მატჩებს. ხარკოვის „მეტალისტთან“ დღეევანდელი მატჩის წინ ურიგო არ იქნებოდა, ამ გარემოებას კიდევ ერთხელ ჩავფიქრებოდით, კიდევ უფრო ახლოს მივიტანოთ გულთან საყვარელი გუნდის ძნელბედობა. მაშ, მივაშუროთ „დინამოს“ სტადიონს და, თბილისელებს რომ გეჩვევია, მართლაც ისე დავუჭიროთ მხარი ჩვენს ფეხბურთელებს. ქომაგის თანადგომა რომ დიდ რამედ ღირს, სულ ახლახან ბუქარესტში „ეიქტორიასთან“ მატჩზე ფეხბურთის ქართველ გულშემატკივართა ასოციაციებაანაკიციამ ჯგუფმაც კი თვალნათლივ დაადასტურა. სწორედ ამის გამო იყო, რომ დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა გერმან ზონინმა თანამხლებ გულშემატკივრებს საჯაოდ გამოუცხადა გულითადი მადლობა. ფეხბურთის სეზონის მიწურულს ბრძოლებმა რამდენიმე მატჩი ადრინდელზე გაცილებით უკეთ წარმართოს. თავიანთი შესაძლებლობების თითქმის მაქსიმუმი გამოავლინეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ არც ახლა, ამ მეტად რთულ ვითარებაში არ გაგვიწბილებენ, კიდევ უფრო გაზრდილი შემართებით იბრძოლებენ უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის. გვინდა ვირწმუნოთ, რომ გუნდის ახლანდელი საბრძოლო განწყობილება მოედანზეც მთელი სისრულით გამოჩნდება...

მაშ, მივაშუროთ სტადიონს, ნუ შეგვაშინებს უამინდობა, ჩვენებურად, რაინდულად ვუქომაგოთ ჩვენს დინამოელებს და გულწრფელი მხარდაჭერით და თანადგომით მოვეხმაროთ გამარჯვებაში ჩვენს გუნდს რომ ასე ოდენ სჭირდება.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.30 — საზეიმო პიონერული კონცერტი (მ). 9.55 — დოკუმენტური ფილმი „მშვიდობა ჩვენს სახლს“. 10.50 —. მუსიკალური შესვენება. 10.55 — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან (მ). 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამხანაგ ლენინის სიტყვა“. 18.10 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ახალგაზრდა მუშის ზეიმი“. 18.25 — ხალხური შემოქმედება. შრომელთა მხატვრული შემოქმედების მეორე საკავშირო სატელევიზიო ფესტივალის დღეური. 18.55 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.25 — მოამბე. 20.00 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო კონცერტი. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან (მ). 22.00 — „ვრემია“. 23.30 — ფილმ-კონცერტი საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოება).

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ოჯახი“. 10.00 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“ (განმეორებით). 10.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმფონიური ნაწარმოებები (მ). 10.55 — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან (მ). 16.00 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ოქტომბრის გზა“ (მ). 16.35 — მოსწავლეთათვის. „გაუმარჯოს მზიანეთს!“. 17.50 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 18.55 — „გარდაქმნის წანაზაგები“. „პრაქტიკულ საქმეთა პერიოდი“. 19.20 „ჩვენი პრემიერა“. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყოფა, ყოფა“. 20.05 — „ახალგაზრდების შეკრება“. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კომკავშირელებისა და ახალგაზრდების საკავშირო შეკრება ლენინგრადში (მ). 20.35 — მოამბე. 21.10 — „საქართველო — ფესტივალების ქვეყანა“. 22.00 — „ვრემია“. 23.30 — სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი ჭადრაკში. 24.00 — ფეხბურთი უეფას თასზე. მეთექვსმეტედფინალი. გფრ-ის „ვერდერი“ — მოსკოვის „სპარტაკი“. რეპორტაჟი გფრ-დან.

მეორე პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი „აჯანყების მოედანი“. 18.35 — განცხადებები. 18.40 — დოკუმენტური ფილმი „მიყვარხარ, ჩემო, რუსეთო!“. 19.25 — მხატვრული ფილმი „წითელი ველოსიპედი“. 20.35 — მოამბე.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 16.10 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „მეგობრობის მერიდიანზე“. 16.40 — დოკუმენტური ფილმი „გული ძგერს“. 17.40 — „ქართული ტელეფილმების რეტროსპექტიული. ჩვენება“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „წისქვილი“ და „თუშური ყველი“. 18.15 — განცხადებები. 18.20 — მოსწავლეთათვის.